# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2011 წელი.

№64 (6676)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ვისი ინტერესები ეწირება ტურიზმის ბუმს?!




3-5

## გონიოს მიწის „საიდუმლო“ და „მისტიკური შეიხები“

## გააჩნია ჭკუას ვის ვეკითხებით, მთავარია, ჭკუა გააჩნია თუ არა!..

ანუ როცა „ღმერთების სიკვდილს“ ვეპირებით, მარტო ეშმაკის იმედად არ უნდა ვიყოთ




6-7

ჩვენ და ისინი

## ქარის წისქვილებთან ბრძოლა რევოლუციების ფონზე



5

## მექანიკური მოქალაქეები

ჩვენებურები ოკეანის გაღმა-გამოღმა



9

ნაღდვილი და მოჩვენებითი

## ყალბი თავისუფლება



4

## საქართველოს ოპოზიცია სიტუაციას არყევს

8

უყურე შენ!

## ქართული ლობიანის ფასი




რა ღირს პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი?

2

## „აივნიანი ქალაქის“ სული



11

## ◉ უყურე შენ!..

# ქართული ლობიანის ფასი

## რა ღირს პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი?

**დიდი ეკონომიკური კრიზისია მთელს მსოფლიოში.**

**საოცრად დიდი კრიზისი.**

**ლიბანი, იორდანია, აბობოქრებული არაბული სამყარო, მიწისძვრები და ცუნამი წყნარ ოკეანეში...**

ბარელი ნავთობის ფასი ავსტრალიური კენგურუსავით ისე „დახტის“, რომ კაცმა არ იცის ხვალ „ვაგზლიდან“ თემქამდე „მარშუტკით“ მგზავრობის ღირებულება რა იქნება.

ხორბალი? აუჰ, ნუ მკითხავთ. ხანძარი რუსეთის სტეპებშიო. იქ უკრაინამ ევროკავშირს და აქედან გამომდინარე, საქართველოსაც უგანაო. აქ კიდევ ამერიკული სიმინდით გამომცხვარი მჭადი ჯობია აბაშის ფქვილისგან გამომცხვარსო.

ეგ კი არა, და ოთარ ტატიშვილი, თავის შოუში ხორცის და თევზის ფასებზე რომ მღერის, ისე ილიმება, რომ ყოფილი „დეზერტირების“ ბაზრის ყველის ვაჭარი მახსენდება.

უმუშევრობა, „შავი ხუთშაბათები“ და რევოლუციები სოციალურ თემებზე. მშიერი და შეციებული ევროპის მონური მორჩილება გათბობის საშუალებების და საჭმლის მფლობელი რუსეთის მიმართ.

ჰოდა რატომ გიკვირთ, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში, პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერთა „ღირებულებაც“ შემცირდეს?

თუ 2009 წელს ოპოზიციური პარტიის ერთი მხარდამჭერის ღირებულება ათი ლარიდან თხუთმეტ ლარამდე მერყეობდა (პარტიას გააჩნია). თანაც იქ გარკვეული „იდეოლოგიურ-საპროგრამო“ პოზიცია (ანუ ის, თუ რამდენად არის „მხარდამჭერი“ დაახლოებული პარტიის ზედა ფენებთანძ მოქმედებს, წელს საერთაშორისო კრიზისიდან გამომდინარე, ლარნახევრამდე დაეცა.

სწორედაც, რომ ერთ ლარამდე და ორმოცდაათ თეთრამდე.

ალბათ გაინტერესებთ, თუ სად მოხდა ქართული პოლიტიკის მხარდამჭერთა ფასის ნომინალის დაცემა.

ახლავე გეტყვით.

შაბათს, 2 აპრილს. ვერის ბაღში მდებარე „საფინანსო-პოლიტიკურ“ ბირჟაზე, ანუ კალათბურთის სასახლეში.

იქ ამჯერად შპს „ქართული პარტიის“ „აქციონერთა“ კრება გაიმართა.

იმ პოლიტიკურ-ფინანსურ „პირამიდაში“ ჩართულ ხალხს, რომლებსაც „ქართული პარტიის“ აქტივისტები ჰქვიათ, დაპირდნენ, რომ თითოეულ მოყვანილ „მხარდამჭერზე“ 1,5 ლარს (ერთ ლარს და 50 თეთრს) გადაუხდიდნენ.

თანხა შესაბამისი საბუღალტრო დათვლების შემდეგ, სადღაც აპრილის ბოლოს გაიცემა.





1,50 ლარი

არადა ერთი „ლობიანის“ ფასიც საოცრად გაიზარდა და ისიც ერთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი გახდა.

ახლა ვიღაც ზრდილობიანი მკითხველი იტყვის, რომ „ეს რა შეურაცხმყოფელი ქმედებააო“, შემდეგ მიიხედ-მოიხედავს, ოდნავ გაწითლდება და გულში რაღაც „შეურაცხმყოფელს“ ჩაილაპარაკებს.

როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო!

ალბათ გსმენიათ დოლარის კურსის ყველაზე უფრო ზუსტი განმსაზღვრელი ფაქტორის, ანუ ერთი ულუფა „ბიგ მაკის“ კურსის შესახებ.

თუ არ გსმენიათ, გეტყვით, რომ ერთი ულუფა „ბიგ მაკი“, ამერიკის ტერიტორიაზე ღირს ერთი დოლარი (ნებისმიერი ფინანსური თუ მეტეოროლოგიური კატაკლიზმების დროსაც კიძ.

აქედან გამომდინარე, თუ „ბიგ მაკი“ მონღოლეთში ღირს ვთქვათ 1,6 ტუგრიკი, ე.ი. დოლარის კურსი ტუგრიკთან მიმართებაში უდრის 1,6 ტუგრიკს.

ეს კანონი მოქმედებს ყველა ქვეყანაში და ამ კურსზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ადგილობრივი ბანკების მიერ ჩატარებული საფინანსო ოპერაციები.

არ მოქმედებს ადგილობრივი ვალუტის გასამყარებლად, ეროვნული ბანკების მიერ განხორციელებული ღონისძიებები.

ეს კურსი ითვლება ყველაზე რეალურად და ყველა ბიზნესმენისთვის აბსოლუტურად მისაღებად.

როგორც აღმოჩნდა, „ქართულმა პარტიამ“ გადაწყვიტა, დააწესოს ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა ახალი კურსი და 2 აპრილს, ანუ საგაზაფხულო აქციების წინ, დააწესა ახალი საფინანსო კურსი „ერთი მხარდამჭერი — ერთი ლობიანი“.

მე ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რამ გამოიწვია ამ პარტიის მხარდამჭერთა ასეთი „დევალვაცია“, მაგრამ ისეთ დიდ ბიზნესმენებს, როგორებიც ლევან გაჩეჩილაძე, ეროსი კიწმარიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი არიან, თავისუფლად შეუძლიათ აგვიხსნან ქვეყანაში არსებული ინფლაციის მიერ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოწვეული პრობლემების წარმოშობის ნიუანსები და მაგალითებად ნოლაიდელის პარტიაში შექმნილი პრობლემები, ან სხვა ინდმეწარმეების (ერთკაციანი პარტიებისძ „დიდი ბაზრიდან“, ანუ ქართული პოლიტიკური სივრციდან გაქრობის მიზეზები მოიყვანონ.

ახლა არ მკითხოთ, ვინ გითხრა ან ლევან გაჩეჩილაძის, ან ეროსი კიწმარიშვილის და ან ირაკლი ოქრუაშვილის ბიზნესმენობაო.

კარგით რა!..

ლევან გაჩეჩილაძის ბიზნესმენობა, ალბათ ყველაზე უკეთ მიხეილ სააკაშვილმა იცის. არა, მე იმ ორ მილიონზე არ ვლაპარაკობ, რომელსაც ვანო ჯავახიშვილი თავის შოუში წაღმა-უკუღმა ატრიალებს და რომლის გამოც მიუნხენის აეროპორტში „მცირე“ ინციდენტი მოხდა.

უბრალოდ ეროსი კიწმარიშვილის ყოფილ ტელეკომპანიაში არსებული ის საარქივო მასალა მახსენდება, რომელშიც მაშინდელი ხელისუფლების მომხრე პარლამენტარი გია ბარამიძე, ოპოზიციაში გადასულ, მაშინდელ პარლამენტარ ლევან გაჩეჩილაძეს, „მოქალაქეთა კავშირის“ დახმარებით, ბიზნესის დასაწყებად გამოყოფილ ხუთ მილიონზე რომ „ესაუბრება“ („საუბრის“ ადგილი არც „შავნაბადას“ რეზიდენციაა და არც იმ მიტოვებული ქარხნის ტერიტორია, რომელსაც „მაფიაზე“ გადაღებულ ფილმებში ყოველთვის იყენებენ. „საუბრის“ ადგილი, არც მეტი და არც ნაკლები, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზიაძ.

ეროსი კიწმარიშვილის „მედიამაგნატობა“, მის მიერ საქართველოს სავაჭრო პალატის „აყვავება“, ქალაქ რუსთავის კაზინოებით „აღორძინების“ სურვილი და სხვა უამრავი „წარმატება“ ხომ ყველასთვის ცნობილია.

და ამ ყველაფერს, თუ ირაკლი ოქრუაშვილის იმ „მენეჯერულ“ ნიჭსა და უნარს დავამატებთ, რომელსაც თვით საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნავდა და რომლის გამოც თავდაცვის მინისტრს, ჩინეთში ქართული ღვინის გასაღება და სხვა ბაზრების მოძიება დაევალა („იაფად“ ნაყიდი ის 38 უკრაინული ტანკი რა სალაპარაკოაძ, მაშინ ადვილად მიხვდებით, რომ ქართული „ლობიანი“, თამამად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო სავალუტო კურსის მთავარ განმსაზღვრელად (ნოლაიდელის „საპელმენე“ კურსმა ძალიან სწრაფად განიცადა კრახიძ.

რა მაგის პასუხია და სულ მიკვირდა, ეს სოზარ სუბარი „სიდან გეეკვეხა“ ამ „კომერსანტებში“.

წერილს კი „ამაღლებული პათოსით“ დავამთავრებ.

გაზაფხული მოვიდა და საქართველოს „პოლიტიკურ-საფინანსო ბირჟაზე“ გამოცოცხლება დაიწყო.

ზოგი „ლობიანს“ „გამოაგდებს“, ზოგი „ფენოვანს“, ზოგი კი „შაურმას“ შესთავაზებს მოსახლეობას. არადა, ისეთი „ნაგლებიც“ შეიძლება გამოჩნდნენ, რომლებიც იტყვიან, ჩვენი „კარტოფილის პერაშკი“, სხვის „იმერულს“ ჯობიაო.

მთავარია, რას აირჩევს „მომხმარებელი“.

ეს კი მხოლოდ მის გემოვნებაზეა დამოკიდებული.

**გია გაბრიჭიძე**

## ◉ კვლევა

# აკი, სიღარიბე შემცირდაო?!

## მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა უმუშევრობა და ფასების ზრდაა

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ის ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში ნდობით ვერ დაიკვეხნის. ლუის ნავაროს უწყების კვლევები რამდენჯერმე საზოგადოების სხვადასხვაგვარი განწყობისა და შეფასებების მიზეზიც გამხდარა. ხშირად მას ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობის გამო ადანაშაულებენ.**

თუმცა NDI-იმ გუშინ საზოგადოებრივი აზრის ახალი კვლევები წარმოადგინა, სადაც არცთუ მკვეთრად ჩანს ხელისუფლებისადმი ხალხის დადებითი დამოკიდებულება და პრობლემებიც უხვადაა. კვლევა მარტში ჩატარდა და თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში 2,883 პირი გამოიკითხა.

გასული წლების კვლევის შედეგებისგან განსხვავებით, სადაც დემოკრატიის ხარისხი და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრობლემათა შორის წამყვან ადგილს იკავებდნენ, ამჯერად მოსახლეობამ ორი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გამოკვეთა: სამუშაო ადგილების შექმნა და ფასების ზრდა. გამოკითხულთა 61 პროცენტი მიიჩნევს, რომ მთავარი საკითხი სამუშაო ადგილების შექმნაა, 39 პროცენტი ამბობს, რომ პრობლემას ფასების ზრდა წარმოადგენს, ხოლო 38-ტერიტორიულ მთლიანობას ასახელებს. რესპონდენტების აზრით, პოლიტიკოსები პირველი ორი საკითხის შესახებ საკმარისად არ საუბრობენ. მოქალაქეები კი მათთვის ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას სწორედ მათ მიერ არჩეული თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური პარტიებისგან მოელიან.

თბილისში ყოფითი სოციალური პირობებიდან მთავარ საკითხად კომუნალურ მომსახურებაზე მაღალი გადასახადები რჩება, ასევე ტრანსპორტზე, ხოლო რაიონებში პრობლემაა გზები და გაზმომარაგება. კითხვაზე — გაუმჯობესდა თუ არა თქვენი და თქვენი ოჯახის მდგომარეობა, პასუხი უარყოფითია, როცა 2008 წელსაც კი მოსახლეობა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე საუბრობდა. ალბათ, ამის მიზეზი ისიცაა, რომ გამოკითხულთა 73 პროცენტი უმუშევარია და აქედან 41 პროცენტი სამუშაოს ეძებს.

როგორ ვითარდება საქართველო? — სწორი მიმართულებით! — ამბობს 35 პროცენტი, არასწორი მიმართულებით, მიაჩნია 19 პროცენტს, ხოლო 37 პროცენტის აზრით, ქვეყანაში არაფერი იცვლება.

საქართველოს ნატოში გაწევრების მომხრეა გამოკითხულთა დიდი ნაწილი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერავინ ასახელებს, როდის შეიძლება ეს მოხდეს. რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ვითარება საზოგადოებისთვის მისაღები არ არის, თუმცა თუკი ადრე რესპონდენტთა 23 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობაზე საუბრობდა, ახლა ამ მაჩვენებელმა 10 პროცენტამდე დაიწია.

**არის თუ არა საქართველოში დემოკრატია, გამოკითხულთა 44 პროცენტმა უპასუხა — არა, ხოლო 39 პროცენტმა — დიახ. მაგრამ NDI-ში ამბობენ, რომ გასული წლის ივლისში გაცილებით უარესი მდგომარეობა იყო. მაშინ იგივე კითხვაზე უართოფითი პასუხი 46 პროცენტმა გასცა, ხოლო დადებითი — 33 პროცენტმა. ასე თუ ისე, აშკარაა, რომ უმეტესობა საქართველოში დემოკრატიის არსებობას გამორიცხავს.**

ალბათ, ამის შემდეგ ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოიყურება პასუხი, რომელიც რესპონდენტებმა გასცეს კითხვაზე — რამდენად ეთანხმებით ხელისუფლების ცვლილებებს. 72 პროცენტი ეთანხმება, 34 კი — არა.

პრეზიდენტის გამოსვლას ღია ეთერით — „პრეზიდენტი უპასუხებს ხალხს“ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უყურა. მოეწონა — 41, ხოლო არ მოეწონა — 26, თუმცა ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ ოპოზიციას უნდა ჰქონოდა საშუალება, ასეთივე პირდაპირი ეთერით პასუხი გაეცა პრეზიდენტისთვის.

კვლევამ თითქმის ყველა ასპექტი მოიცვა, ეს იყო განათლების რეფორმა, რომელსაც მხარს უჭერს 42 პროცენტი, ვაუჩერების დარიგება (რესპონდენტთა 62 პროცენტმა მოიწონაძ, პარლამენტის ქუთაისში გადატანა (მხოლოდ ქუთაისელები ემხრობიანძ და სხვა, მაგრამ არ ჩატარებულა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეიტინგი. ლუის ნავარო ამბობს, რომ ეს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივაა.

რა თქმა უნდა, ინფორმაციის მიღების უპირველეს წყაროდ ელექტრონული მედია რჩება. მათ შორის პირველ ადგილზეა „რუსთავი-2“, შემდეგ „იმედი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი. „კავკასიას“ გაცილებით მეტი მაყურებელი ჰგავს, ვიდრე „მაესტროს“, რაც ალბათ, ტელეკომპანიის მწირი სიხშირით აიხსნება.

ლუის ნავარომ პრეზენტაციის ბოლოს კვლევის შედეგები შეაფასა და აღნიშნა, რომ გაცილებით კომპლექსურად უდგება მოსახლეობა პრობლემებს, ვიდრე ხელისუფლება: **„შედეგებმა აჩვენეს, რომ წამყვანია ეკონომიკური პრობლემები. ხელისუფლება ცვლილებებს ახორციელებს, მაგრამ გამოკითხულთა აზრით, ისინი ეკონომიკას ნაკლებად უკავშირდება. მოსახლეობას უფრო მეტად აინტერესებს კონკრეტიკა, ყოფითი ნიუანსები, ვიდრე ამას აკეთებს ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად აღებული“.**

**NDI-ის მარტის კვლევის შედეგები ცხადად უთითებენ იმაზე, რაც რეალური პრობლემაა ქვეყნისათვის: ეს არის ინფლაცია, უმუშევრობა და სიღარიბე, რომელიც 2008 წელთან შედარებით გაიზარდა. ეს შედეგები უკვე იცოდა ლუის ნავარომ, როცა ის სავარაუდოდ პრემიერ-მინისტრის გამოსვლას მოისმენდა, სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო რომ ირწმუნებოდა. ალბათ, NDI-ს ხელმძღვანელს გულში ეცინებოდა...**

**თეა მოსია**

## ◉ ქველმოქმედება

# „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ოფისში პროექტ „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“ ფარგლებში თბილისის №51 საჯარო სკოლის უმცროსკლასელთა ნახატების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. შემოსული თანხა კოჯრის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლს გადაეცემა. ფონდის გენერალურმა მენეჯერმა ლაშა ჟვანიამ განაცხადა, რომ მსგავსი პროექტები ხშირად იმართება. ამას გარდა უმცროსკლასელთათვის ეწყობა შეხვედრები მათთვის ცნობილი და საინტერესო ადამიანებთან. ლაშა ჟვანიამ ყურადღება გაამახვილა ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რომელიც 2011 წლის 26 აპრილიდან 2 ივნისამდე გაიმართება. ფესტივალი ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების შერიგებას და მეგობრობას მიეძღვნება. ახლო მომავალში გაიმართება ანტინარკოტიკული ღონისძიებები, რომლებიც მთელ საქართველოს მოიცავს.**

**ირინა ოზოლაშვილი**

ვინ როგორ ხედავს

# არ შემქმნია შთაბეჭდილება, რომ საქართველოში რევოლუციაა მოსალოდნელი



გვესაუბრება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი

**— ბატონო ფილიპ, თბილისში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის „როუზ როსის“ სემინარზე საფრანგეთისა და ნიდერლანდების წარმომადგენლებმა საქართველოს ღიად მიანიშნეს იმაზე, რომ ნატოში გაწევრებამდე უფრო ლოგიკური ევროკავშირში ინტეგრაცია იქნებოდა. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხში?**

— აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამ საკითხებთან დაკავშირებით ბევრ დისკუსიაში მიმიღია მონაწილეობა და ყოველთვის ვამბობდი, რომ ნატოში და ევროკავშირში გაწევრებაზე ზრუნვა ერთდროულად უნდა მომხდარიყო. თუკი ვინმე სკეპტიკურად უყურებდა ერთს ან მეორეს, ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო სწორი. უნდა ითქვას, რომ ევროპულ სტრუქტურებში და ნატოში ინტეგრაცია შეიძლება, ერთდროულად არ მოხდეს. მაგალითად, ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი ჯერ ნატოში გაწევრდნენ და 5 წლის შემდეგ — ევროკავშირში, ბულგარეთი და რუმინეთი ნატოში გაწევრებიდან სამი წლის შემდეგ გახდნენ ევროკავშირის წევრები. სურვილი, აღნიშნულ სტრუქტურებში გაწევრდე, არის საფეხური იმ დიდი მიზნის მისაღწევად, რომელსაც დიდი ევროპული ოჯახის წევრობა ჰქვია.

**— ამავე სემინარზე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა კარლ ლამერსმა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები და რუსეთთან ურთიერთობა ქვეყნის ნატოში გაწევრების მთავარ გამოწვევად დაასახელა. თქვენი აზრით, რამდენად შეუშლის ხელს საქართველოს ნატოში გაწევრებას ეს კონფლიქტები?**

— თქვენი კონფლიქტები მართლაც დიდი პრობლემაა. ისტორიას ახსოვს შემთხვევები, როდესაც მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნები ნატოშიც გაწევრებულან და ევროკავშირშიც, თუმცა, რასაკვირველია, ეს შეიძლება, ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს.

**— გარდა კონფლიქტებისა, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებებიც. ვგულისხმობ თავად ამ ორგანიზაციაში რიგი ქვეყნების, მათ შორის გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციებს...**

— ნატო ის ორგანიზაციაა, სადაც გადაწყვეტილებებს განხილვების შედეგად იღებენ. ის, რომ ამ დისკუსიებში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, ნორმალურია და იმისათვის, რომ შეთანხმებამდე მიხვიდე, საწყის ეტაპზე სრული ერთსულოვნება აუცილებელი არ არის.

**— ორივე ორგანიზაციაში გაწევრების გზაზე სერიოზულ პრობლემას ასევე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები წარმოადგენს. არ შეიმჩნევა ხელშესახები პროგრესი ჟენევის კონსულტაციებზე. ქართული მხარე შიშობს, რომ ეს ფორმატიც ჩიხში შევა...**

— ნებისმიერ სერიოზულ საქმეს ახლავს გარკვეული შიშები, რომ ამისაგან არაფერი გამოვა. შესაძლოა, შიში გარკვეულწილად საფუძვლიანიც იყოს, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჟენევის მოლაპარაკების დაწყების წინ არსებობდა ქართული მხარის სურვილი, რომ გამოძებნილიყო იმ პრობლემების მოგვარების გზა, რომელიც პირველ რიგში, საქართველოსთვისაა ძალიან მტკივნეული....

**— სწორედ ამიტომ ელის ქართული მხარე ევროსტრუქტურებისგან უფრო ქმედით ნაბიჯებს, მათ შორის — რუსეთზე ზეწოლის თვალსაზრისით, რათა მან ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს. აქვს თუ არა შესაბამისი ბერკეტები ევროპას სადღეისოდ?**

— უნდა გვახსოვდეს, რომ სწრაფი მოგვარება მხოლოდ იოლ პრობლემებს ახასიათებს... შესაძლოა, მიღწეულ იქნას გარკვეული შედეგები, მაგრამ პრობლემის მოგვარების სწრაფი რეცეპტი არ გვაქვს. იმედი გვაქვს იმ პატარა ნაბიჯების, რომელიც სწორი მიმართულებით გადაიდგა. დამეთანხმეთ, რომ ეს ადვილი არ არის.

**— თქვენ ქართული ოპოზიციის ლიდერებთან სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობთ, ხვდებით მთავრობის წარმომადგენლებსაც. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის მოსაზრებები ქართული დემოკრატიის ხარვეზებზე. რა შენიშვნების მოსმენა გიწევთ ყველაზე ხშირად?**

— ზოგიერთს ავიწყდება, რომ დემოკრატიის მშენებლობა კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს. საქართველომ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თვალსაზრისით ბევრს მიაღწია. როგორც წესი, ხალხი ძალიან მგრძნობიარეა იმ საკითხების მიმართ, რომლებიც მას ეხება და ეს ნორმალურიცაა. ადამიანები მოთხოვნებს უნდა აყენებდნენ. სამი თვის განმავლობაში დემონსტრაციების მომსწრეც გავხდი. მეუბნებიან, რომ მედია ხშირად საკმაოდ კრიტიკულია. მე ქართული არ ვიცი, მაგრამ ხშირად მესმის, რომ სხვადასხვა ქართული მედიასაშუალება მოვლენებს სხვადასხვაგვარად აშუქებს და ამ პროცესში ხშირად მიკერძოებულია. უნდა ვთქვა, რომ ეს ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაშიც ხდება. მთავარია, მედიასაშუალებები თანაბარ სიტუაციაში ჩავაყენოთ. პოზიტიურად ვაფასებ საქართველოს პარლამენტის ინიციატივას მედიამფლობელების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, რადგან მედიასაშუალებების კონკურენტულ პირობებში ჩაყენებისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ დგას მათ უკან. მსმენია ასევე, რომ ადამიანები საუბრობენ მათი უფლებების დარღვევის შესახებ. ამაზე რეაგირებაა საჭირო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ საქართველოში დემოკრატია ჩამოყალიბების პროცესშია.

**— ბოლო დროს ოპოზიციის ე.წ. რადიკალური ნაწილი აქტიურად საუბრობს რევოლუციაზე. რა აზრის ბრძანდებით ამ გეგმაზე?**

— არ განვეკუთვნები ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც რევოლუციებზე ზერელედ საუბრობენ. ყველას აქვს უფლება, თავისი აზრი გამოხატოს. როდესაც ადამიანები გულისტკივილს გამოხატავენ, მე მას ვიზიარებ. თუმცა მეოცე საუკუნეში იყო რევოლუციები, რომლებიც ჩემს გულს ნამდვილად არ ეხმიანებოდა — კომუნისტური თუ ნაცისტური. იმ სამი თვის განმავლობაში, რომელიც საქართველოში გავატარე, არ შემქმნია შთაბეჭდილება, რომ ამ ქვეყანაში რევოლუციაა მოსალოდნელი.

**— რა ბედი ეწია სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წარმომადგენლობას? როგორც ვიცით, ამჟამად ევროკავშირს სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში არ ჰყავს...**

— ევროკავშირის სტრუქტურებში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. რაც შეეხება სპეციალური წარმომადგენლის საკითხს, ეს სწორედ ამ ცვლილებების კონტექსტში მიმდინარე განხილვების საკითხია. საბოლოო მიზანია ევროკავშირის უფრო ეფექტური საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში. ამ ეტაპზე ეს ყველაფერი მიმდინარე განხილვის თემაა.

**— თავის დროზე ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა იყო. რჩება თუ არა აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ პრიორიტეტად?**

— თავის დროზე საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახური დაიხურა, რადგან ის არაეფექტური იყო. დღეს საქართველოში ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა შეიქმნას. დასავლეთ ევროპაში მონოპოლიების წინააღმდეგ მკაცრი კანონები მოქმედებს. ასეთი სამსახურები აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში შეიქმნა. ევროკავშირს სურს, საქართველოშიც არსებობდეს ორგანო, რომელიც კონკურენციას შეუწყობს ხელს.

**— დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა თბილისიდან დევნილთა რეგიონებში გასახლებას. ოპოზიცია ხშირად დონორების მიერ დევნილთათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის არამიზნობრიობაზე საუბრობს. რისი თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?**

— ბოლო პერიოდში დევნილების პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ძალისხმევაზე მსოფლიო პრესაშიც იყო საუბარი. პრობლემა მართლაც ძალიან დიდია. ევროკავშირი ძალიან ღრმად არის ჩართული დევნილების პრობლემების მოგვარებაში და ცდილობს, ეს ადამიანები არა მარტო საცხოვრებლით უზრუნველყოს, არამედ მათ რესოციალიზაციასაც შეუწყობს ხელს. მთავარია, რომ საქართველო ამ მძიმე საკითხის მოგვარებას ცდილობს.

ნინო ცაგოლოვი,
„პირველი“

პრობლემა



*საკუთრების უფლების ხელყოფა ჩვენს „დემოკრატიულ“ საქართველოში ისეთივე დიდი პრობლემაა, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი მედია, პიროვნების ღირსების პატივისცემა და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც მთავრობის არტახებისგან გათავისუფლებას ითხოვს. მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობს პრეტენზიები საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ყველაზე მეტად დაზარალებულები მაინც იქ არიან, სადაც ტურისტული ზონები უნდა განვითარდეს: ეს ეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლს, სამეგრელოს, სვანეთს, როგორც ამბობენ, იგივე ემუქრება თუშეთს.*

*ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს“ დაფინანსებით რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „რეგიონულმა მედია ასოციაციამ“ და „მწვანე ალტერნატივამ“ დაიწყეს პროექტი „საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში“. კვლევის ანგარიში სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ წარმოადგინეს“. ამჯერად მათ მხოლოდ აჭარაში, კერძოდ გონიოში შესწავლილი მასალების შედეგები გამოამზეურეს.*

# გონიოს მიწის „საიდუმლო“ და „მისტიკური შეიხები“

## ვისი ან რა ინტერესები ეწირება ტურიზმის ბუმს?!

როგორც ფონდის დირექტორმა **ქეთი ხუციშვილმა** აღნიშნა: „ტურიზმის განვითარება — ის რაც ასე გასახარი უნდა ყოფილიყო მოსახლეობისთვის, ტრაგედიად ექცათ. დღემდე უიმედოდ ითხოვენ კუთვნილი საკუთრების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ“. ე. წ. თავისუფალ ტურისტულ ზონებად გამოცხადებულ ტერიტორიებზე (ანაკლია-ზუგდიდი, ქობულეთი), ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში (მესტია, გონიო) ადგილობრივ მოსახლეობას მასობრივად ჩამოერთვა მიწები, როგორც დაკანონებული, ისე „ტრადიციულ კუთვნილებაში“ მქონე, ყოველგვარი კომპენსირებისა და სანაცვლო შეთავაზების გარეშე.

2007-2010 წლებში სოფელ გონიოს ადგილობრივ მოსახლეობას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, საკუთრებაში გადასცეს მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ მოქალაქეთა მფლობელობაში იყო. ეს ის პერიოდია, როცა მთავრობამ პროექტი „რაც შენია, შენია“ დაიწყო. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მესაკუთრეები გამხდარიყვნენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული იმ მიწის ნაკვეთებისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობებისა, რომლებსაც ისინი მართლზომიერად ფლობდნენ, სარგებლობდნენ ან თვითნებურად ჰქონდათ დაკავებული. გონიოში კი მოსახლეთა 90 პროცენტს სწორედ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში დაუკანონეს მიწის ნაკვეთები. პროცესი ისე სწრაფად ხორციელდება, რომ ფაქტობრივად, მუნიციპალიტეტი საათში 25 განკარგულებას გასცემდა...

თუმცა არჩევნებმა ჩაიარა და 2010 წლიდან გონიოში მცხოვრებ 271 პირს ერთდროულად გაუუქმეს მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფოს მიერვე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობები, ისე რომ, არ შეუსწავლიათ ფაქტობრივი გარემოებები და არც საკომპენსაციო ღონისძიებები განუხორციელებიათ. ბევრი მათგანი დარჩა როგორც ერთადერთი საარსებო წყაროს, ისე საცხოვრებლის გარეშე. სოფლის მოსახლეობამ მხოლოდ რამდენიმე საპროტესტო გამოსვლა მოაწყო, თუმცა სასამართლოს გზით სამართლის პოვნაზე არც უფიქრიათ...

საკუთრების უფლების გათილოვის მიზეზად დასახელდა საკუთრების უფლების აღიარებისთვის საჭირო მტკიცებულებების არარსებობა. ასევე სახელდება ამ ნაკვეთების კულტურული მემკვიდრეობის ზონაში მოქცევა. თუმცა მიწების უმეტესობა ამ ზონებს ბევრად სცილდება. თანაც საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ თავიდანვე იცოდა, რომ 2006 წლიდან გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ კომპლექსს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი ჰქონდა და კანონით აკრძალული იყო გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის 100 მეტრის რადიუსში მოქცეული მიწების გასხვისება.

მართალია, ჯერჯერობით პირდაპირ არ არის გაცხადებული, რომ ჩამორთმეული მიწები ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნისთვის იქნება გამოყენებული, მაგრამ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზეზად სწორედ ტერიტორიების საკურორტო ზონაში მოქცევა დაასახელა. მოგვიანებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ეს ფაქტი უარყო და დაადასტურა, რომ გონიო-აფსაროსის მიმდებარე ტერიტორია არც თავისუფალ ტურისტულ ზონად და არც საკურორტო ზონად არ არის გამოცხადებული.

**მაშინ, რა არის მიწების ხშირ შემთხვევაში მასზე უკვე აშენებული სახლების ჩამორთმევის მიზეზი? — ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ ისტორიაში ე. წ. „შეიხები“ ფიგურირებენ. ადგილობრივები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლებამ მათთვის ჩამორთმეული მიწები არაბ ინვესტორებს გადასცა — ტერიტორიის ნაწილი უკვე დაკანონებულია, ხოლო დანარჩენის დასაკუთრებას ახლა ცდილობენ. თანაც საკრებულოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ წერია, რომ ჩამორთმეული მიწები „დაუმუშავებელ თავისუფალ ტერიტორიას წარმოადგენს და მდებარეობს სოფელ გონიოს მაღლივ ფერდობზე, ე. წ. შეიხების ტერიტორიის მიმდებარედ“. ეს საკუთრების აღიარების თავმჯდომარემაც დაადასტურა, მაგრამ ზუსტად არავინ იცის, ვინ არიან კონკრეტულად ეს ხსენებული „შეიხები“, როდის შეიძინეს ეს მიწები და რა მიზნით.**

არასამთავრობოები გონიოს მოსახლეობის უფლებების დასაცავად ჯერ ადგილობრივ ინსტანციებში, ხოლო შემდეგ სტრასბურგში გასაჩივრებას აპირებენ. ანგარიშში საუბარია ორმაგ სტანდარტებზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მთავრობა ახორციელებს.

იხ. 5 გვ.

№ 64. ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2011 წელი.

◉ საზოგადოება

# ყალბი თავისუფლება

**სანამ ვილაპარაკებდეთ იმაზე, თუ რატომ არის დღევანდელი „ნეოლიბერალური“ თავისუფლება ყალბი, პირველ რიგში აუცილებელია შევთანხმდეთ იმაზე, თუ რას ვთვლით ადამიანის ნამდვილ თავისუფლებად.**

ნამდვილი, ანუ რეალური თავისუფლება არ გულისხმობს **აბსოლუტურ თავისუფლებას,** როგორც შეიძლება ზოგიერთს წარმოუდგენია. აბსოლუტური თავისუფლება (თავისუფლება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან) დამახასიათებელია მხოლოდ ცხოველთა სამყაროსთვის, ხოლო ადამიანთა საზოგადოებაში აბსოლუტური თავისუფლება ყოველთვის შეზღუდულია.

კაცობრიობა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთი ადამიანის აბსოლუტური თავისუფლება შეზღუდული უნდა იყოს პირველ რიგში სხვა ადამიანის უფლებებით, ანუ ადამიანი თავისუფალია იქამდე, სანამ მისი თავისუფლება (თავისუფალი ნება, სურვილი) წინააღმდეგობაში არ მოვა მეორე ადამიანის უფლებებთან.

ამერიკელ იურისტს, ოლივერ უენდელ ჰოლმსს (Oliver Wendell Holmes) ეკუთვნის ფრთიანი გამოთქმა: „ჩემი მუშტის მოქნევის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის ცხვირი“. ეს გამოთქმა საინტერესოა იმით, რომ აქ ჰოლმსი „მუშტის მოქნევას“ უყურებს როგორც ადამიანის თავისუფლებას, დაიკმაყოფილოს საკუთარი **სურვილი,** რომელსაც ზღუდავს სხვა ადამიანის **უსაფრთხოების** უფლებით. სწორედ აქ გადის საზღვარი ორი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას შორის: ადამიანის **სურვილი** შეიძლება არ ჩერდებოდეს „სხვა ადამიანის ცხვირთან“, მაგრამ **თავისუფლება** მოქმედებს **მხოლოდ** „ცხვირამდე“.

თუმცა ესეც არ არის ყველაფერი: შეიძლება ერთი ადამიანის თავისუფალი ნება, ანუ სურვილი სრულიადაც არ უქმნიდეს საფრთხეს **უშუალოდ** სხვა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მაგრამ მიუღებელი იყოს **მთლიანად საზოგადოებისთვის.** მაგალითად, თუკი ადამიანს აქვს სურვილი გაანადგუროს რომელიმე კულტურული ძეგლი, ეს შეიძლება სულაც არ უქმნიდეს პირდაპირ საფრთხეს სხვა ადამიანებს, მაგრამ ამგვარი „თავისუფლება“ მიუღებელია საზოგადოების უმრავლესობისთვის, შესაბამისად ამ შემთხვევაში ადამიანის თავისუფლება შეზღუდულია საზოგადოებრივი შეთანხმებით, რომელიც არ გამომდინარეობს უშუალოდ სხვა ადამიანის უფლებებიდან. იგივე შეთანხმებები მოქმედებენ ეთიკის შემთხვევაშიც – თუკი ადამიანს (ან ადამიანებს) აქვთ სურვილი, ჩაიდინონ რამე ისეთი საქციელი, რაც მიუღებლად ითვლება მოცემული დროისა და ადგილისთვის, მათ აუცილებლად შეზღუდავს საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავად იმისა, მიაყენეს თუ არა ფიზიკური ზიანი ვინმეს. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან თანამედროვე ლიბერალიზმს ახასიათებს მიდრეკილება, შეზღუდოს ადამიანის აბსოლუტური თავისუფლება მხოლოდ სხვა ადამიანის უშუალო უფლებებით და უარყოს საზოგადოებრივი აზრის, როგორც თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი ფაქტორის არსებობა.

ჩვენ ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით, მანამდე კი უბრალოდ აღვნიშნოთ რაც გამომდინარეობს ზემოხსენებული მაგალითებიდან: მაშასადამე, თავისუფლება ადამიანთა საზოგადოებაში უნდა განიმარტოს, როგორც **ადამიანის უფლება** არ გააკეთოს არაფერი, რაც არ სურს და პირიქით, გააკეთოს ყველაფერი, რაც სურს, გარდა იმ სურვილებისა, რომლებიც ზიანს მიაყენებენ მეორე ადამიანს ან მთლიანად საზოგადოებას.

მაგრამ ეს არის თავისუფლების მხოლოდ ფორმალური ჩარჩოები. იმისათვის, რომ ადამიანმა **რეალურად** განახორციელოს თავისუფლება, ანუ თავისუფალი არჩევანი, მისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ უფლებების მინიჭება გარკვეული ქმედების განსახორციელებლად.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის თავისუფლება შეზღუდულია არა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზით, არამედ ამ ადამიანის **მატერიალური მდგომარეობითაც.**

მაგალითად: ადამიანი რეალურად ვერ დატოვებს სამუშაო ადგილს, რამდენად მძიმე პირობებშიც არ უნდა უწევდეს მას მუშაობა, **თუკი არ აქვს და ვერ ხედავს ფიზიკური არსებობის სხვა გარანტიას.** ამ შემთხვევაში მისი თავისუფლება ეწირება მისსავე სიცოცხლეს. ასევე ვერ წავა ადამიანი მეზობელ ქალაქში მხოლოდ იმიტომ, რომ მას გადაადგილების თავისუფლებას აძლევს კანონი, თუკი არ აქვს მგზავრობისთვის საჭირო თანხა. ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ ადამიანი მხოლოდ ფორმალურად არის თავისუფალი საკუთარ არჩევანში.

რეალურად თავისუფალ ადამიანს, ფორმალურად თავისუფალი ადამიანისგან განსხვავებით აქვს არა მარტო იმის უფლება, **არ გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც არ სურს,** არამედ აგრეთვე გააჩნია იმის საშუალება, **გააკეთოს ის, რისი გაკეთების სურვილიც** აქვს (თუ ეს სურვილი არ ეწინააღმდეგება კანონსა და ეთიკას). ხოლო რეალური თავისუფლების **დონეს** განსაზღვრავს თანაფარდობა ადამიანის სურვილებსა და მის მატერიალურ შესაძლებლობებს შორის. ეს საკითხი საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული ცნობილ ბელგიელ მეცნიერს ფილიპ ვან პარისს (Philippe Van Parijs) თავის ნაშრომში „რეალური თავისუფლება ყველასათვის“.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეალური თავისუფლება არ არის **ყოვლისშემძლეობა.** არსებობს, მაგალითად, სურვილის დაკმაყოფილების **ტექნოლოგიური** საზღვარი, რაც გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, XX საუკუნის დასაწყისში, ადამიანი, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ გაფრინდებოდა კოსმოსში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იგი უმდიდრესი ადამიანი ყოფილიყო მთელს მსოფლიოში – იმ პერიოდში კაცობრიობას უბრალოდ არ გააჩნდა ტექნოლოგიური ბაზა ასეთი სურვილის დასაკმაყოფილებლად. არსებობს ასევე ბუნებრივი ზღვარიც: მაგალითად, თუ ადამიანს აქვს სურვილი, საკუთარი ხელით ასწიოს 5000 კილოგრამი ტვირთი, იგი ამ სურვილს ვერ განახორციელებს ბუნებრივი (ამ შემთხვევაში ადამიანის სხეულის ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო, მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს არა ყოვლისშემძლეობის ფენომენი, არამედ რეალური თავისუფლება, რომელიც შემოსაზღვრულია ეკონომიკური მდგომარეობით. რეალური თავისუფლება არ გულისხმობს ისეთი ქმედების განხორციელებას, რაც ფიზიკურად შეუძლებელია და ვერც ერთი ადამიანი ვერ ახორციელებს.

ტრადიციული დასავლური სოციოლოგია აღიარებს თავისუფლების ეკონომიკური შეზღუდვის ფაქტს, მაგრამ ლიბერალი მოაზროვნეებისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ იურიდიულად თავისუფალი ადამიანი ძალიან ხშირ შემთხვევაში იძულებულია, იცხოვროს იქ, სადაც არ სურს ცხოვრება, იმუშაოს იქ, სადაც არ სურს მუშაობა, იყოს იმ საზოგადოებაში, სადაც არ აქვს ყოფნის სურვილი და ბოლოს და ბოლოს, ვერ იძლევა კონკრეტულ პასუხს შეკითხვაზე: არის თუ არა ასეთი ადამიანი რეალურად თავისუფალი და თუ არ არის, შესაძლებელია თუ არა მისი გათავისუფლება ლიბერალური სისტემის ფარგლებში.

უფრო მეტიც – თავისუფლების ეკონომიკურ შეზღუდვას ლიბერალი მოაზროვნეები არ განასხვავებენ და არ გამოყოფენ სურვილის დაკმაყოფილების ბუნებრივი ბარიერებისგან და ცდილობენ, დაამტკიცონ, თითქოს საყოველთაო ეკონომიკური თავისუფლებისკენ სწრაფვა ისევე ეწინააღმდეგებოდეს ბუნებას, როგორც მაგალითად, ადამიანის სურვილი იქცეს ყოვლისშემძლედ. ამასთანავე, მათ სრულიად არ აბნევთ ის გარემოება, რომ ყოვლისშემძლედ ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაიქცევა, ხოლო თავისუფლების ეკონომიკური გარანტია (ან მასთან მიახლოებული მდგომარეობა) საზოგადოების ერთ ნაწილს გააჩნია, ხოლო მეორეს – არა.

მაგრამ, ნებისმიერი ინტერპრეტაციით, რეალური თავისუფლება შეზღუდულია ეკონომიკური მდგომარეობით. იდეოლოგების აზრები იყოფა იმასთან დაკავშირებით, ეს შეზღუდვა უნდა ჩაითვალოს ადამიანის ჩაგვრად, თუ ბუნებრივ მოვლენად, მაგრამ თვით ამ შეზღუდვის ფაქტს ნებისმიერი სკოლა აღიარებს.

ასევე ყველა თანხმდება იმაზე, რომ რაც უფრო **გარანტირებულია** ადამიანის **ეკონომიკური** მდგომარეობა, მით უფრო თავისუფალია ადამიანი საკუთარ არჩევანში. მხოლოდ გარანტირებული ეკონომიკური კეთილდღეობის განცდა ანიჭებს ადამიანს **რეალურ თავისუფლებას**.

აქედან გამომდინარე, მთლიანად საზოგადოებაც მით უფრო თავისუფალია **რეალურად**, რაც უფრო მეტ ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევანის ეკონომიკური გარანტიები, ხოლო მით უფრო ყალბია საზოგადოების თავისუფლება, რაც უფრო ნაკლები ადამიანი სარგებლობს ამ პრივილეგიით.

თანამედროვე დასავლური „დემოკრატია“ იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი ჩვენში შემოვიდა, არათუ არ მუშაობს ადამიანთა თავისუფლების რეალურთან მისაახლოებლად, არამედ საერთოდ არ ცნობს რეალური თავისუფლების ცნებას.

რომელ რეალურ თავისუფლებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა თანამედროვე საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) დაცული არ არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გარანტირებული მრავალი ფუნდამენტური უფლებაც კი.

ან რომელ თავისუფალ არჩევანზე შეიძლება ლაპარაკი საზოგადოებაში, სადაც ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ ადამიანთა უმრავლესობა უბედნიერესად თვლის თავს, თუკი **რამე სამუშაო მაინც** „იშოვა“ და უდიდეს მკრეხელობად მიაჩნია იმის გაფიქრებაც კი, რომ ეს „რამე სამუშაო“ სრულებით არ შეესაბამება მის სულიერ მისწრაფებებს და შეიძლება საფრთხესაც კი უქმნიდეს მის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ საიდან გაჩნდა მითი ნეოლიბერალიზმის ასეთი „თავისუფლებისმოყვარეობის“ შესახებ? ან რატომ არის ეს იდეოლოგია დაკავშირებული „მეტი თავისუფლების“ იდეასთან მოსახლეობის ერთი ნაწილის ცნობიერებაში?

საქმე ის არის, რომ თავისუფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე „ფილტრს“ გაივლის, სანამ ადამიანი მის გამოყენებას შეძლებს. პირველ რიგში, ადამიანის აბსოლუტურ თავისუფლებას ზღუდავს კანონი და ეთიკა. უკვე დარჩენილი თავისუფლება იზღუდება ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორებით. თავისუფლების განხორციელების **ყველა ფორმა** არ უკავშირდება ეკონომიკურ შეზღუდვებს.

აი, სწორედ აქ „იმალება“ მთელი საიდუმლო.

დღევანდელი „დემოკრატია“ ძირითად აქცენტს აკეთებს სინდისის, გამოხატვის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა ისეთ თავისუფლებებზე, რომლებიც არ არიან პირდაპირ დაკავშირებული ეკონომიკურ სისტემასთან და მიეკუთვნებიან ეთიკისა და მორალის კატეგორიას.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ ორი ადამიანი, რომელთაგანაც პირველს აქვს სურვილი სამსახურში წასვლის წინ ჩაიცვას მხოლოდ უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი ტანსაცმელი, ხოლო მეორეს აქვს სურვილი, საერთოდ არაფერი ჩაიცვას და ისე გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე. ამ შემთხვევაში პირველი ადამიანის თავისუფლება შეზღუდული იქნება ეკონომიკურად (თუკი ამ ადამიანს არ გააჩნია საკმარისი თანხა), ხოლო მეორე ადამიანის თავისუფლება – საზოგადოებრივი ეთიკის მიერ (რაც შეიძლება კანონშიც იყოს დაფიქსირებული). შესაბამისად, სახელმწიფოსთვის გაცილებით ადვილია მეორე ადამიანის „გათავისუფლება“, ვიდრე პირველისა.

თანამედროვე „დემოკრატია“, იმის გამო, რომ მას არ შეუძლია (და არც სურვილი აქვს) გააფართოოს ადამიანის **რეალური თავისუფლება**, ამის „კომპენსაციას“ ახდენს **აბსოლუტური თავისუფლებისკენ** მოძრაობით ეთიკის ხარჯზე და აქტიურად ნერგავს აზრს, რომ რაც მეტია თავისუფლება, მით უფრო განვითარებულია საზოგადოება. არადა მეტი თავისუფლება ყოველთვის არ ნიშნავს განვითარებას. ხანდახან კი პირიქითაც შეიძლება მოხდეს: ყველამ ვიცით, რომ ბუნებაში ცხოველებს მეტი „თავისუფლება“ აქვთ (ამ სიტყვის მორალურ-ეთიკური გაგებით), ვიდრე ადამიანებს ნებისმიერ საზოგადოებაში, მაგრამ ამის გამო ისინი არ დგანან ადამიანებზე მაღლა. სინამდვილეში, ადამიანებს სჭირდებათ არა **აბსოლუტური თავისუფლება** ეთიკის ხარჯზე, არამედ **რეალური თავისუფლება.**

რეალური თავისუფლების იდეალური დონე, როგორც ყოველგვარი იდეალი, მიუღწეველია, მაგრამ შესაძლებელია მასთან მეტ-ნაკლებად მიახლოება ისე, რომ ადამიანმა საკუთარი ცხოვრება **ძირითადად მაინც** დაგეგმოს საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების მიხედვით და არა გამოუვალი ეკონომიკური მოცემულობებიდან გამომდინარე.

მაგრამ ნეოლიბერალიზმს რეალური თავისუფლება მოაქვს ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის, ხოლო მოსახლეობის უდიდეს ნაწილს იგი სთავაზობს „გაფართოებულ სინდისის თავისუფლებას“, რაც ძალიან ხშირად იღებს უბრალოდ **სინდისისგან თავისუფლების** ფორმას.

ასეთი პოლიტიკა ნეოლიბერალური „დემოკრატიისთვის“ სასარგებლოა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ეთიკის ხარჯზე გაზრდილი „თავისუფლება“არ უკავშირდება მატერიალური სახსრების (ანუ თავისუფლების განხორციელების საშუალების) გადანაწილებას და „თავისუფლების ილუზიას“ კი შესანიშნავად ქმნის. ამას გარდა, ეთიკისა და მორალის საკითხებზე საზოგადოების ყურადღების გადატანა მშვენიერი „მეხამრიდია“, რათა ადამიანებმა იკამათონ და ებრძოლონ ერთმანეთს სინამდვილეში მეორეხარისხოვან საკითხებზე და საერთოდ დაავიწყდეთ ის, თუ რა არის რეალური თავისუფლება და რა მიმართულებით უნდა მოძრაობდეს სამართლიანი იდეოლოგია.

**ზვიად ავალიანი**

◉ ინფორმაცია

## სოხუმელი მაიმუნები – კოსმოსში

**აფხაზეთის** ე.წ. მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტმა მიიღო მიწვევა, მონაწილეობა მიიღოს პროექტში „მარსი-500“, რომელსაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო-ბიოლოგიური ინსტიტუტი „როსკოსმოსის“ ეგიდით ახორციელებს.

– შესაძლოა, ამ უნიკალურ პროექტში მონაწილეობა სოხუმის მაიმუნთსაშენის მაიმუნებმაც მიიღონ. ჩვენი ინსტიტუტისთვის ეს ძალიან საინტერესო და პერსპექტიული წინადადებაა, – განაცხადა სოხუმის მაიმუნთსაშენის დირექტორმა ზურაბ მიქვაბიამ. მისი თქმით, სოხუმში კავკასიის ერთიანობის ესტაფეტის ფარგლებში, რომელიც იური გაგარინის გაფრენის 50 წლისთავს ეძღვნება, კოსმონავტები მაგომედ ტილბოვი და მიხეილ კორნიენკო და „როსკოსმოსის“ წარმომადგენლები იმყოფებიან.

**ჯი-ეიჩ-ენი**

გლობუსი

# ქარის წისქვილებთან ბრძოლა რევოლუციების ფონზე

**შემაშფოთებელ მოვლენებს აქვს ადგილი საერთაშორისო არენაზე — არაბული რევოლუციები, ლიბიის ლიდერის უმოწყალო ბომბვა, იაპონიის ცუნამი და ფუკუსიმას, მაპატიეთ „ფუკუშიმას“, როგორც იაპონურში გათვითცნობიერებული ქართველი ტელეჟურნალისტები ამბობენ, რადიაციული ველი რამდენიმე ათასით რომ აჭარბებს ნორმას, კოტ დივუარის ორი პრეზიდენტის — ძველის — ბაგბოს და ახლის — უატარას, ხანგრძლივი დაპირისპირება. ძველმა, როგორც იქნა აღიარა დამარცხება.**

არც სირიის მოვლენებია დასამშვიდებელი, მით უმეტეს, როდესაც ამერიკელთა ძალისხმევით ყველაფერი კეთდება ბაშარ ასადის „სასტიკი“ საქციელის გასაპიარებლად. სირიის „რევოლუცია“ ირანის რევოლუციისკენ მიმავალი გზაა, ესოდენ სანატრელი ოფიციალური ვაშინგტონისთვის.

**არაბული რევოლუციების რადიაცია ისეთივე სახიფათოა, როგორც იაპონიის მოძველებული ბირთვული ელექტროსადგურის რადიაციული გამონაჟონი, ამიტომაცაა, რომ ორივესთან მიმართებაში მთელი მსოფლიო შეფიქრიანებულია. განსაკუთრებით აშფოთებთ რევოლუციური რადიაცია, ვინაიდან მისი ნამოქმედარი თვალნათელია. რადიაცია კი არ ჩანს.**

**მთელი მსოფლიოსგან განსხვავებით საქართველო ის ქვეყანაა სადაც არც ფუკუსიმას რადიაცია აწუხებს ვინმეს და არც არაბული რევოლუცია, მარტივი მიზეზის გამო — საქართველო მაგარია, მისი ხელისუფლებაც მაგარია, ხოლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სიმაგრე ხომ საქვეყნოდ ცნობილია. როდესაც მაგარი ხარ, ნებისმიერ ქვეყანას დაუმტკიცებ შენს სიმაგრეს, თანაც მნიშვნელობა არა აქვს, მიგიჩნევს თუ არა ის ასეთად, მთავარია შენ გჯეროდეს ამის.**

გასულ კვირას საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი სიმაგრე. იქნებ სიმაგრე კი არა თავხედობა? და არა მარტო თავხედობა, არამედ საერთაშორისო სამართალში აშკარა გაუთვითცნობიერებლობა. საქართველოს ტელეკომპანიებისა და მაღალი რანგის მოხელეების განმარტებით საერთაშორისო „ტურნირში“, რომელიც ჰააგაში გაიმართა ბეჭებზე გავაკარით საქართველოსთან შედარებით ათასჯერ მძიმეწონიანი რუსეთი.

საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის ცხინვალის ომის დამთავრებისთანავე სცადა ბედი ჰააგის სასამართლოში, რაც გაღმით შედავებას უფრო ჰგავდა. ქართველთა მიმართ ბოლო ოცი წლის განმავლობაში რუსეთის მხრიდან განხორციელებული რასობრივი დისკრიმინაციის სარჩელით აღძრული საქმე იმდენად უსაფუძვლო გამოდგა, რომ ჰააგის სასამართლომ არც კი განიხილა, თანაც ისიც დაამატა — ვიდრე ჩვენ შეგვაწუხებდით უმჯობესი იყო თქვენ (საქართველო — რუსეთს) განგეხილათ და თუ მაინცდამაინც ვერ შეთანხმდებოდით მერე მოსულიყავით ჩვენთანო. ჰააგის სასამართლო გადაწყვეტილება დიამეტრალურად განსხვავებული იყო ქართული მედიისა და მოხელეების მიერ მოწოდებული ინფორმაციისაგან. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჩვილმა ბურჯალიანმა დიდხანს და გაუგებრად ილაპარაკა „დიდი გამარჯვების“ შესახებ. ვერსიის განსამტკიცებლად თავისი თქვა პარლამენტარმა მინაშვილმა და ვილაც ამერიკელმა იურისტმა — მტვრის ასეთ შემყრელს მხოლოდ „ვილაც“ უნდა ეწოდოს. სამივემ ურცხვად მოატყუა საზოგადოება, ისე, როგორც ბოლო 7 წლის განმავლობაში გვატყუებს ხელისუფლების უკლებლივ ყველა წარმომადგენელი.



ჰააგის სარჩელში იმდენი ბრალდება წაუყენა ქართულმა მხარემ რუსეთს, რომ წაგების შემთხვევაში ის წელში ვერასდროს გასწორდებოდა — რასობრივი დისკრიმინაცია, რუსეთში მცხოვრებ ქართველთა დევნა-შევიწროება, „ბინძური“ საქციელის კომპენსაციის გადახდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაცია და სხვა. ამ სარჩელის თაობაზე საქართველოს ხელისუფლება კარგა ხანია დარწმუნებული გვატყობინებდა, საკუთარ სიმართლესა და გამარჯვებაში, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, გამარჯვება არ შედგა. მაგრამ ვინ იცის, რომ ამას არ ჰქონდა ადგილი? მხოლოდ თითო-ოროლამ. დანარჩენმა იცის ის, რაც ზემოთ ხსენებულმა „ტროიკამ“ უთხრა ტელეეკრანიდან, ანუ გავიმარჯვეთ! სადამდე!

**ჰააგის სასამართლო ეპოპეა რომ კრახით დამთავრდებოდა თავიდანვე იყო ცნობილი, მაგრამ ხელისუფლების მიზანი იყო ერთი — საერთაშორისო არენაზე ანტირუსული ლაშქრობა.**

**ქარის წისქვილებთან ბრძოლა გრძელდება. მავანი იტყვის — შენ რა, გაგრძელდესო. კეთილი, მაგრამ ეს ბრძოლა რომ ძვირი უჯდება საქართველოს რეპუტაციისა და ფინანსების სახით ამას რა ვუყოთ?! ათეულ-ათასობით დოლარი ჯდება უცხოელ (ამერიკელ) იურისტთა დაქირავება, ქვეყნის რეპუტაცია — შეუფასებელია. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ შეკვეთილ ანტირუსულ სტატიებსა და სატელევიზიო სიუჟეტებში გადახდილი უზომო რაოდენობის დოლარები შიდა პრობლემებს რომ მოხმარებოდა გაცილებით უკეთესი ვითარება იქნებოდა.**

იშვიათად თუ მოეძებნება საკუთარი თავის წინააღმდეგ ამხედრებული ხელისუფლება ისე, როგორც საქართველოს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ხელისუფლება საკუთარ თავს უდგას ჯიბრში. არც ერთი მოთხოვნა გაუსაძლისი ვითარების შეცვლისათვის გაზიარებული არ არის. ასეთ შემთხვევაში ერთი ნაბიჯი რჩება რევოლუციამდე.

სიტყვა „რევოლუცია“ და მისი შედეგები კარგადაა ცნობილი საქართველოს მოსახლეობისთვის. რევოლუცია უკიდურესი გზაა ვითარების შეცვლისათვის, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება ვერ აცნობიერებს საკუთარი ქვეყნის პრობლემებს, ვერ გრძნობს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს, მწვანე შუქი ძალისმიერებას ენთება. დემოკრატიით ცნობილ ევროპაში ხალხის და ოპოზიციის მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებით გვარდება. სამწუხაროდ ასეთს საქართველოში არასოდეს ჰქონდა ადგილი. ვადამდელმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა გვამცნო მარტივი ჭეშმარიტება — საქართველო ევროპა არ არის და ხელისუფლება გაყალბებით ნებისმიერ ვადამდელ თუ რიგით არჩევნებს „მოიგებს“. დარჩენილი ერთადერთი გზა რევოლუციაა ანუ ის მანკიერი ტრადიცია, რაც სწორედ ხელისუფალთა წყალობით დამკვიდრდა საქართველოში.

არაბულმა ამბოხმა ძველი პრაქტიკის რეანიმაცია მოახდინა — ღარიბთა ბრძოლა მდიდართა წინააღმდეგ. ჩაგრული ღარიბი ფენების მმართველ ელიტასთან დაპირისპირება სხვა არაფერია თუ არა კლასობრივი ბრძოლა. **დასავლური დემოკრატიის უშუალო მხარდაჭერითა და ხელშეწყობით არაბულ სამყაროსა და ჩვენში ჩამოყალიბდა ავტორიტარული მმართველობა, დიდი რაოდენობის კაპიტალის კონტროლით. ახალი ქართველი ბობოლები ისეთივე გულისრევას იწვევენ ღარიბთა შორის, როგორც არაბულ ქვეყნებში, თუმცა, ჯერ მათი აღშფოთება, ისე, როგორც არაბეთში ქუჩაში არ გადმოღვრილა.**

არის რაიმე განსხვავება ტუნისის, ეგვიპტის, ბაჰრეინის, იემენის და ამერიკის ვისკონსინის შტატის მღელვარებაში? გასული საუკუნის 60-იანი წლების მიტინგებისა და დემონსტრაციების შემდეგ ყველაზე მასობრივი გამოსვლა, — ამერიკისათვის მანამდე არნახული ლოზუნგით — ეგვიპტეში ჩამოაგდეს დიქტატორი, ჩვენც ჩამოვაგდებთ, ნიშნავს ბრძოლას თავისუფლებისთვის, მაგრამ ვისგან? ვის ჩამოგდებაზე ალაღანდნენ? ჩვენი გაგებით ერთობ უადგილოა (ჯერჯერობით ლაპარაკი ვისკონსინის რევოლუციაზე, ვინაიდან რევოლუცია ის მოვლენაა, რომელიც შედეგით და არა მის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟით იზომება. მაგალითად „ვარდების რევოლუცია“ ნამდვილად არ ჰგავდა მასშტაბურ რევოლუციას, უფრო მეტიც, ბევრი მას ჩაწყობილსაც უწოდებდა, მაგრამ შედეგი რევოლუციაზე მეტი გამოდგა. ყველა დარგში გატარებულმა რეფორმებმა, ცხადია ნეგატიურმა, დაგვანახა რევოლუციით გამოწვეული უდიდესი მანკიერება.

**არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დამხობილი არაბული ქვეყნების ლიდერები და ავტორიტარული რეჟიმები იმ მექანიზმის შემადგენელი ნაწილები იყვნენ, რომელსაც მსოფლიო კაპიტალიზმის მეურნეობა და პოლიტიკა ჰქვია, ანუ საერთო ჯამში მსოფლიო ჰეგემონიზმი. ეს რეჟიმები შესანიშნავად ართმევდნენ თავს ვაშინგტონელი რეჟისორის მიერ ნაბოძებ როლებს. სწორედ ამ როლებით გახდნენ ისინი აშშ-ის უახლოესი მოკავშირეები. კადაფიც კი მსგავს როლს ასრულებდა — შესაბამისი ლოზუნგით — ხელი-ხელს ბანს, ორივე პირს.**

**მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრსა და პერიფერიებში აღორძინებული კლასობრივი ბრძოლა არა მარტო კონიუნქტურული მოვლენაა, არამედ სტრუქტურული, რაც გამოწვეულია გლობალური კაპიტალისტური მანქანის გაუმართაობით. კაპიტალისტურ მანქანაში ხანგრძლივმა დეგენერაციულმა მოვლენებმა იჩინეს თავი. ისტორიას ჩაბარდა გასული საუკუნის 80-90-იანი წლების კაპიტალისტური ტრიუმფი. რაც უმთავრესად გამოწვეული იყო მთავარი მეტოქის, საბჭოთა კავშირის დაშლით. დასავლურ კაპიტალიზმს ყოვლისშემძლეობის ილუზია შეექმნა. გარდა ამისა მან ჩათვალა, რომ მეტი წარმატების მოსაპოვებლად უმჯობესი იქნებოდა შრომისაგან გათავისუფლება. ანუ დეინდუსტრიალიზაცია. საკუთარი მრეწველობის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გატანამ, საკუთარ ქვეყანაში ნაკლებკონტროლირებული ფინანსური მაქინაციების განმტკიცებამ გამოიწვია საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი. კაპიტალმა დაკარგა მწარმოებლური ფორმა, შეიძინა პარაზიტული სახე, რამაც თავისთავად უბიძგა მსოფლიოს კრიზისსა და რევოლუციებისკენ.**

**არაბეთში დაწყებული რევოლუციები უმთავრესად კლასობრივი ხასიათისაა და ისეთივე გადამდებია, როგორც გრიპი, თანაც ისეთივე საშიშია, როგორც ფუკუსიმას რადიაცია. ის უყურადღებოდ არავის დატოვებს, მით უმეტეს ისეთ ჩამოუყალიბებელს, როგორიც საქართველოა, დახუნძლულს პრობლემებით და გაუსაძლისი პირობებით.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

პრობლემა

# გონიოს მიწის „საიდუმლო“ და „მისტიკური შეიხები“

(მესამე გვერდიდან)

თუ გონიოს შემთხვევაში კულტურის ძეგლის სტატუსი და დაცული ტერიტორიების ზონაში მოხვედრა საკმარისი საფუძველი გახდა იმისთვის, რომ ადგილობრივებისათვის კუთვნილი მიწები ჩამოერთმიათ, ქობულეთის თავისუფალ ტურისტულ ზონაში მოხვედრილ „ფიჭვნარის“ დაცულ ტერიტორიას, სადაც ანტიკური ხანის ნაქალაქარია აღმოჩენილი, დაცული ტერიტორიის სტატუსი გაუუქმდა, რითაც ტურისტული ინფრასტრუქტურის, კერძოდ სასტუმროების მშენებლობას ყველანაირი ბარიერი მოეხსნა. ანუ თუკი გონიოში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები საკურორტო ზონის განვითარებას ეწირება, ქობულეთის არქეოლოგიური ზონის დაცვა პირიქით, ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების იდეის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ დისკუსიაზე ითქვა, რომ შედეგი იქამდე არ დადგება, ვიდრე არ იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი მითითებები და ზეგავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე. როცა აზიის განვითარების ბანკი ან მსოფლიო ბანკი აფინანსებენ პროექტებს, ისინი მოსახლეობას კომპენსაციას უხდიან არარეგისტრირებულ მიწებზეც კი, მაგრამ თუ ბიუჯეტი აფინანსებს, კომპენსაციაზე საუბარიც ზედმეტია. ვინაიდან საქართველოში ტურისტული ბუმია, სოციალური დაცვის უმაღლესი სტანდარტი უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგრამ... სამწუხაროდ, ეს ის საკითხია, რაზეც ხელისუფლებას პასუხი არა აქვს. ისინი მოსახლეობის პრეტენზიებს სრულ იგნორირებას უკეთებენ. სწორედ ეს მიდგომა იწვევს ადამიანთა გულისწყრომას და თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევენ.

**გონიოს ერთ-ერთი მოსახლე სამართლიანად ჩივის: „მთავარია ეს საქმე მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და ჩვენ თავი დაჩაგრულად არ ვიგრძნოთ. თორემ კომპენსაცია თუნდაც ერთი ლარი იყოს... სასამართლოს რომ ემსჯელა, ამდენს არც ვილაპარაკებდით, მაგრამ როცა ამას საკრებულოს თავმჯდომარე აკეთებს და გვეუბნება, პრეზიდენტს შეეშალაო, ამას ვერ მივიღებთ“.**

**მართლაცდა, ან რას აჩუქე, ან ახლა რატომ ართმევ?!**

თეა მოსია

ინფორმაცია

## ვალს კიდევ ვალს უმატებენ

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონში ცვლილებები პარლამენტმა პირველი მოსმენით, 76 ხმით 0-ის წინააღმდეგ მიიღო. პარლამენტი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონში ცვლილებებს დაჩქარებული წესით განიხილავს და 8 აპრილს უკვე მეორე და მესამე მოსმენით დაამტკიცებს. კანონპროექტის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე წელს ევრობონდების მეორე ემისიას გეგმავს, რომლის მოცულობაც 500 მილიონი დოლარი იქნება.

ცვლილება კანონის გარდამავალ დებულებას ეხება, რომელიც სახელმწიფო ვალის სრული მოცულობის გაზრდას კრძალავს, თუმცა გამონაკლისი 2008 წლის აგვისტოში დაუშვეს, როდესაც ევრობონდები რუსეთის აგრესიის შემდეგ იქნა დახარჯული. ახალი ევრობონდები კი სწორედ 2008 წელს აპრილში გამოშვებული ევრობონდის რეფინანსირებას მოხმარდება.

ჯი-ეიჩ-ენი

შეურაცხყოფილი ლექსი

*„კვირის ქრონიკა“ რომ ყოველკვირეულ ცუნამად იქცა, ამ საშინელი სტიქიისა არ იყოს, ამას უკვე ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა ფენა გრძნობს, უწინარესად, რასაკვირველია, პოლიტიკოსები გრძნობენ, მაგრამ ბოლო დროს არც „პოეტები საქართველოსი“ ჩაცვივდნენ კარგ დღეში. „ქრონიკის“ ფურცლებზე ცუნამად წოდებული ამ ქარიშხლის ყოველკვირეულად ამყენებელმა, უთუოდ კალამყოჩაღმა და ცუნამივით მსხვერპლგანურჩეველმა **გელა ზედელაშვილმა** ერთ „ლექსის კარგ მცოდნე“ ლელა კოდალაშვილთან ერთად ახლახან, როგორც იტყვიან, ქვა ქვაზე აღარ დატოვა ქართული პოეზიიდან და თვით ეგრეთ წოდებულ „პოეზიის ღმერთებს“, ანუ ქართული პოეზიის „ადიდებულსა დიდ მდინარეს“ ყლაპი უქნა.*

*თუმცა რაღა მე ვილაპარაკო იმის მაგივრად, თავად მოუსმინეთ პატივცემულ გელასა:*

*„ამას წინებზე ერთი-ორმა ინტელიგენტმა მისაყვედურასავით: ვერ გავიგეთ, შენ ჟურნალისტი ხარ თუ ლიტერატურული კრიტიკოსი, რა უფლებით არჩევ სხვის ლექსებს, თუნდაც, არ ვარგოდესო? მე კი ვუპასუხე: ერთიც ვარ და მეორეც, რა უფლებით ერევით ჩემს საქმიანობაში-მეთქი? — შენაო, — მეუბნება ერთი ყოფილი პროფესორი, ახალგაზრდებს ლექსის წერის ხალისს უკარგავ და, ვინ იცის, რამდენ მომავალ გალაკტიონს კლავ, ამის გამო, შეიძლება სასამართლოშიც გიჩივლოო. კი შევატყვე, ამ ყოფილს კრამიტები რომ აქვს დაცურებული, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე, პროფესიონალი პოეტების, ანუ მართლა ლექსის წერის ოსტატების აზრიც მომეწოდებინა თქვენთვის... რა იცი კაცო, ამ ქვეყანაზე შეუმცდარი არავინაა, იქნებ, მეც ვცდები და მართლა ვკლავ კვირაში რამდენიმე გალაკტიონს თუ არა, გოგლა ლეონიძეს მაინც? მოდით, თქვენთან ერთად ახლა ჭკუას დავეკითხები ლექსის კარგ მცოდნეს **ლელა კოდალაშვილს**“.*

*რაც შეეხება „ლექსის კარგ მცოდნე“ კოდალაშვილს, იგი არ მალავს, პირდაპირ ამბობს, მე ვაპირებ თანდათან, რომ „ღმერთების სიკვდილის“ თემა შემოვიტანო, რადგან ძალიან ბევრი ფუყე ავტორიტეტი არსებობს საბჭოთა პერიოდიდან გამოყოლილიო. ახლა არ იკითხავთ, ვინ არიან ეს ფუყე ავტორიტეტები? ვინ არიან და ამ შემთხვევაში კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, რომელთა „დაყენება გალაკტიონ ტაბიძის გვერდით სასაცილოა“, და კიდევ მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე... ეს ახლა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზედელაშვილ-კოდალაშვილის ტანდემის მიერ აყენებული „ანტიპოეტური ცუნამი“ კიდევ ბევრს „მოიყვანს ზომაში“.*

*ყოველგვარი სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, ძნელია და ხშირად ამაოც არის, მაგრამ, როცა სტიქია ერთგვარად ხელოვნურია და მთლად ჯანსაღი მიზნით არ არის ამტყდარი, ალბათ, შებრძოლება თუ არა, წინააღმდეგობის გაწევა მაინც უპრიანია, რათა მკითხველი არ დაიბნეს და გაარჩიოს უცოდინარობაზე აღმოცენებული სიმართლის სუროგატი, ანუ ფალსიფიცირებული სიმართლე უტყუარისაგან.*

*სწორედ ამიტომ მოვიწვიეთ რედაქციაში ბატონი **ემზარ კვიტაიშვილი**, რომელსაც, კოდალაშვილისგან განსხვავებით, უთუოდ კარგად იცნობს ქართველი მკითხველი და გავესაუბრეთ ზედელაშვილ-კოდალაშვილის ზემოხსენებული დიალოგის თაობაზე („კვირის ქრონიკა“, № 13, 28.III — 3.IV!.)*

# გააჩნია ჭკუას ვის ვეკითხებით, მთავარია, ჭკუა გააჩნია თუ არა!..

## ანუ როცა „ღმერთების სიკვდილს“ ვეპირებით, მარტო ეშმაკის იმედად არ უნდა ვიყოთ

**ჩვენი სტუმარია თვალსაჩინო პოეტი და ლიტერატორი ემზარ კვიტაიშვილი**

**— თქვენი აზრით, რა ხდება, ბატონო ემზარ, რა იწვევს დროდადრო აშკარად ანტიეროვნული, ჩვენი უფროსი თაობის მიერ აშკარად „მკვიდრად ნაგები“ გუშინდელი დღის ნგრევის ესოდენ დიდ „წყურვილს?“.**

— ყველა პატიოსანი ლიტერატორისა და დაკვირვებული მკითხველისთვის ცხადია – ჩვენი დღევანდელი პრესის ფურცლებზე ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული პოეზიის ირგვლივ წარმოუდგენელი ქაოსი სუფევს. ფასეულობათა სრული, უმოწყალო აღრევა ხდება. ამ ცოტა ხნის წინათ, ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ქართული მწერლობის წინაშე ჭეშმარიტად დიდი ამაგის მქონე ოთხმოცი წლის თამაზ ჭილაძემ თავის ძალზე პრინციპულ, ბევრი სიმართლის დამტევ ინტერვიუში („ლიტერატურული გაზეთი“, №46ძ, ირგვლივ გამეფებული უმსგავსობის, „სტიქიური მღვრიე პროცესის შემხედვარემ“, ხაზი გაუსვა „ნიჭიერების აუცილებლობას“ და არ დაუმალავს, რომ ჩვენში, ბევრის მხრივ, „აშკარად არანორმალური ვითარებაა“. იქვე ძვირფასი თამაზი შეგვახსენებს: „განა დღეს იმას არ ვეკითხებით ჭკუას, ვისაც ის არ გააჩნია?“

ამ რიტორიკული შეკითხვის საილუსტრაციოდ შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ახლახან გაზეთმა „კვირის ქრონიკამ“ (№ 13ძ, გამოაქვეყნა ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ინტერვიუ, სადაც იგი მცირე წინათქმის ბოლოს, მკითხველებს მიმართავს: „მოდით, თქვენთან ერთად ახლა ჭკუას დავეკითხები ლექსის კარგ მცოდნეს (!ძ, ლელა კოდალაშვილს“... ამ ფრაზამ გამაოცა. აქ იმდენი, ერთმანეთში აზელილი, აბსურდული კითხვა და პასუხია, შეუძლებელია, საღად მოაზროვნე ადამიანს ტანში არ გაბურძგლოს.

**— თქვენც ხომ გეხებიან ამ ეგრეთ წოდებულ დიალოგ-ინტერვიუში?**

—საკუთარი შეურაცხყოფა ყველაზე ნაკლებად მაღარდებს; შევწუხდი, როცა რამდენიმე ახლობელმა დამირეკა, გაგვაგებინე, რა ხდებაო. არაფერი, ჩვეულებრივი, პრიმიტიული, უბირ ადამიანებზე გათვლილი პროვოკაციაა-მეთქი, ასე ვუპასუხე. ყოველთვის ჩუმად, ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებდი (ეს ჩემი ცხოვრების უცვლელი წესიაძ, სხვათა, უსამართლოდ მივიწყებულ შემოქმედთა წარმოჩენასა და გამომზეურებაზე კი ბევრი ოფლი დამიღვრია. ამას არავის ვამადლი.

თვითონაც მიჭირს ახსნა, რატომ დამიპირისპირა (მე არასოდეს არავის დავზომებივარ და დავტოლებივარძ „ლექსმცოდნე“ ზანოვანმა მაინცდამაინც მკვდარ მუხრან მაჭავარიანთან, ვისგანაც ძირფესვიანად, მთელი არსებით განვსხვავდები და ვისაც შესაფერისი პატივი მივაგე სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდგომაც.

ქალბატონი ლელა კოდალაშვილი, მუხრან მაჭავარიანი რომ დააკნინოს, ნაირნაირ „მარგალიტებს“ აფრქვევს და, ამასთანავე, მეც რომ სრულიად უადგილოდ ქვეშ მომიტნიოს, თავისი ჭკუით, გამაცამტვეროს, ასეთ რამესაც ამბობს: „ამ ადამიანმა სამოქალაქო პოეზია რაღაც დონეზე განახორციელა (!ძ, შეიძლება იმ პერიოდში ვიღაც-ვიღაცებს ჯობდა კიდეც, მაშინდელ გაპიარებულ პერსონებს, თუნდაც ემზარ კვიტაიშვილს.. რა თქმა უნდა, მათთან შედარებით მაღალ დონეზე დგას, მაგრამ გავიხადოთ საკულტო პოეტად, ეს არასწორი იქნება“.

მუხრან მაჭავარიანს მხოლოდ სამოქალაქო და პატრიოტული ჟღერადობის ლექსები არ დარჩენია, ყველასგან მკვეთრად გამორჩეული, მეტად თავისებური ხმის პოეტი იყო და სხვა მხრივაც თვალსაჩინო კვალი დასტოვა ქართულ პოეზიაში.




დარწმუნებული ვარ, ქ-ნ ლელას, პოეზიის ცინცხალ ექსპერტად მოვლინებულ ამ გაპარპაშებულ „ლექსმცოდნეს“, „გაპიარებული პერსონის“, „თუნდაც ემზარ კვიტაიშვილის“ თუნდაც ერთი სტრიქონიც გულდასმით რომ წაეკითხა, მის ყოვლისგანმჭვრეტ თვალსაწიერში ასე პარადოქსულად, დოქსოპულოს ხელწერით, არ მოვხვდებოდი. ეს შხამიანი „პასაჟი“ იმდენად უადგილოა ამ ყეყეჩური გამონათქვამებით გადაჭედილ ვაი-ინტერვიუშიც კი, რომელიღაც უკეთური, ბოროტი არსების საგანგებო შეკვეთად თუ დავალებად გამოიყურება, ვინაიდან კრიტიკისგან განებივრებული და ნაფერები არც ერთი ხელისუფლების ხელში არ ვყოფილვარ. მწერალთა კავშირისგანაც, როცა ათასგვარ სიკეთეს ინაწილებდნენ (ბინა, მანქანა, ავეჯი, „დუბლიონკები“...ძ, მე წიგნის თაროც არ მიმიღია. საკითხავია, სად და როდის მნახა ამ ქალბატონმა ასე თვალშისაცემად „გაპიარებული?“.

მარჯვედ რომ შეიმუშავა ყოვლისმომცველი, სტერეოტიპული კრიტერიუმი, ჯიქურ გაუტია და მისდგა დანარჩენ პოეტებსაც („სატოპკე“ ინტერვიუერმა აუწიაძ:

**— მაინც ვის?**

„ — ასევეა ანა კალანდაძეც, იგი არის მართლა კარგი ლირიკოსი, მაგრამ არა ასე გასაფეტიშებელი“.

„ძალიან საინტერესო პოეტი იყო მურმან ლებანიძე, თუმცა არც ის მიმაჩნია საკულტო პოეტად!“

არავინ დავობს, რომ ამა თუ იმ პოეტის გაფეტიშება, კერპად გამოცხადება გაუმართლებელია, მაგრამ ჭეშმარიტ შემოქმედთა დამცირება, გაბიაბრუება, ბევრად უფრო მიუტევებელი ცოდვაა, მით უმეტეს, როცა ამის სანაცვლოდ ცდილობ, დაფნის გვირგვინით შეამკო და ალაზევო საკუთარ საეჭვო გემოვნებას მორგებული ფავორიტები – დიანა ამფიმიადი, გიორგი კეკელიძე, ლელა სამნიაშვილი, ანასტასია ინასარიძე და მათნაირები.

**— საერთოდ, თუ იცნობენ ლიტერატურული წრეები ლელა კოდალაშვილს, რით გამოირჩა როგორც „ლექსის კარგი მცოდნე?“**

— ლელა კოდალაშვილის ფაქიზ, დახვეწილ „გემოვნებაზე“ მიახლოებითი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, გაკვრით მაინც უნდა მოვიხსენიოთ „ლიტერატურული გაზეთის“ ადრე დამოწმებულ ნომერში გამოქვეყნებული მისი სამი წერილი სამ ახალგაზრდა პოეტზე.

უხერხული მგონია განსაკუთრებულად არაფრით გამორჩეულ პაატა შამუგიას ღვაწლზე, ნოვატორობასა და „საკმაოდ დიდ ნახტომზე“ ასე ყინჩად ლაპარაკი (ბევრი ხელოვნურად გაბუქული ყმაწვილი დაიჩუტა ჩვენს მახსოვრობაში, დაუმსახურებული ხოტბა სიკეთეს არავის მოუტანსძ. ამ ავტორის პოეტურ სიახლედ მოხმობილი სტრიქონები („და მდინარეები ტალღებს დაიკაპიწებენ და ჩვენი გულებიც, როგორც ძაღლები, ჯაჭვებს აიწყვეტენ...ძ, აშკარად ვერ ახდენს სასურველ შთაბეჭდილებას.

ერთი თავისი რჩეულის ლექსი ლელა კოდალაშვილს „მრავალინგრედიენტიან სადილს“ აგონებს. მადას არ უნდა ემდუროდეს და ღმერთმა შეარგოს. ჩემმა მტერმა ისადილა იმ ნოყიერი „ინგრედიენტებით“, რასაც ჩვენი გულუხვი ქალბატონი, სხვა შემთხვევაში (ავტორი ეკა ქევანიშვილიძ, „სიახლედ“, „აჯანყებულ პოეზიად“ გვთავაზობს. ეს გახლავთ არცთუ შეფარულად აღწერილი ორგაზმი ავხორცულ პოზაში გადაჩაჩხული, ახურებული ქალისა, რისი წაკითხვაც (რომელ პოეზიაზე შეიძლება აქ საუბარი?ძ წესიერ ადამიანს გულს აურევს. ჩვენ თითქოს ქართული „კამასუტრას“ დაბადების მოწმენი ვხდებით:

**„ასეთ დროს ჩემი ფეხები**
**შენს წელზეა შემოხვეული.**
**საშო სავსე.**
**ხელებით მიჭირავს შენი**
**საფეთქლები და თავი,**
**როგორც ცეცხლოვანი დისკო,**
**როცა მხრებზე**
**გადმოვინაცვლებ —**
**ხორცი იწვის და**
**კვამლისგან ვახველებ.**
**მერე გაბერილ ფილტვებს**
**გიწვდი, როგორც იალქნებს,**
**ჩემში მინდა შესცურო.**
**საჭე მარჯვნივ,**
**საჭე პირდაპირ. საჭე წრიულად.**
**სანაპიროს ნისლით გიფარავ,**
**მიწა უცებ რომ გამოჩნდეს,**
**საინტერესო აღარ იქნება.**
**შენი ცურვა გამთენიამდეა.**
**მერე შენი ენა შტურმანია.**
**მკლავი სადავე.**
**ჩემი წელი უნაგირი.**
**მუხლები სახნისი.**
**მიწა სველია და ბნელი.**
**ჩვენ კი ვთესავთ“.**

ამ სტრიქონების მომტანი „ლექსმცოდნე“ იქვე თავმომწონედ, გამომწვევადაც კი აღნიშნავს – ექსტაზისაგან მიბნედილი, დაბანგული ავტორი თუ როგორ“... არაფერს არ ნიღბავს, არ კეკლუცობს, თვალს არ გვარიდებს. მას ამ მომენტში, უბრალოდ, არ ვაინტერესებთ“. იმას რატომ არ გვეკითხებიან, ჩვენ რამდენად გვაინტერესებს ყოველივე ამის წაკითხვა! ეროტიკულ პოეზიას თავისი ადგილი და მომხიბლაობა აქვს (სოლომონის „ქება ქებათა“ გავიხსენოთ!ძ. ასეთი პორნოგრაფიაა, მოზარდ თაობებს რომ რყვნის. მე ვერ გავიმეორებ გელა ზედელაშვილისთვის მიცემულ ინტერვიუში ციტირებული ერთ-ერთი ავტორის (შოთა გაგარინიძ უკიდურესად სკაბრეზულ გამონათქვამს, რომელსაც ქ-ნი ლელა ვნებიანად იწონებს, გემოს ატანს.

**— საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რატომ მოიკიდა ბოლო დროს ვერლიბრმა ფეხი ამ ძალით ქართულ პოეზიაში?**

— ადრეც მითქვამს (არა ერთის და ორის გასაგონადძ, თუ რაოდენ დიდი ოსტატობა, ნაკითხობა, ინტელექტი და გემოვნება ესაჭიროება ნამდვილი თავისუფალი ლექსის დაწერას (ვერც ბრექი და ვერც კოკობზიკობა აქ ვერაფერს გიშვე-

№ 64. ხუთშაბათი. 7 აპრილი. 2011 წელი.

ლისძ და რომ ვერლიბრი ჩვენთან, უპირატესად, უნიჭობის თავშესაფრად, შესანიღბად იქცა. ამისი მოწმენი, დღესდღეობით, სულ უფრო და უფრო ხშირად ვხდებით – ლექსის მაგივრად ხელთ ჩალასავით უგემური, უგერგილოდ მიყრილ-მოყრილი სტრიქონები, მთქნარებისმომგვრელი ფუჭი ლაყბობა გვრჩება.

**– კლასიკოსებთან ასე უნიჭოდ ბრძოლისას ჰეროსტრატეს სინდრომთან ხომ არა გვაქვს საქმე?**

– მთლად დაბინდული თუ არა გაქვს გონება, ვითომდა სკოლის სახელმძღვანელოს განქიქების საბაბით (სკოლის სახელმძღვანელოებში მართლაც მრავალ შეუსაბამობას ვაწყდებით, მაგრამ ამას სხვაგვარი განხილვა ჭირდება), ჩვენს საამაყო, სახელოვან კლასიკოსებზე ყოვლად საძრახისი შეხედულებანი როგორ უნდა გამოთქვა?

გიორგი ლეონიძის – „ოლეს“, „ყივჩაღის პაემანისა“ და „ნატვრის ხის“ დამწერს – გალაკტიონ ტაბიძის გვერდით ხსენება ლელა კოდალაშვილს სასაცილოდაც არ ჰყოფნის, ასევე და უფრო მეტადაც აბუჩად იგდებს იგი ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანის – „მთვარის მოტაცების“ ავტორსაც. სხვა აზრის გამოტანა მისი გამონათქვამებიდან შეუძლებელია: „გიორგი ლეონიძე და კონსტანტინე გამსახურდია გალაკტიონის გვერდით დააყენო, ეს სასაცილოა“. „კონსტანტინე გამსახურდია დაბალი ხარისხის მწერალია, გოგლა ლეონიძე კარგი პოეტია, მაგრამ გენიოსი არ არის“.

რას ჰგავს ასეთი ფამილარობა? რა მისი „გოგლა“ არის იმოდენა შემოქმედი, ანდა ვინ დაავალა ამ უზომოდ თამამ (თავხედს განგებ არ ვამბობ) ქალბატონს რანგების დადგენა და განაწილება, ჩვენი დიდი პროზაიკოსის „დაბალი ხარისხის მწერლად“ გამოცხადება?

აქვე უნდა შევნიშნო – ქართულ პოეზიაზე გაფაციცებით მიდარაჯებულმა ბატონმა გელა ზედელაშვილმა იმდენი კი უნდა იცოდეს, რომ „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ – გალაკტიონ ტაბიძეს არ უთქვამს: ასე მას, თავის ერთ, რამდენადმე საჩოთირო ლექსში მურმან ლებანიძე ამეტყველებს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ზემოთ ნაჩვენები სამარცხვინო იერიში, რომლის უკანაც ვილაც-ვილაცანი იმალებიან, ძირითადად, უფროსი თაობის ქართველ პოეტებზეა მიტანილი და რა ვირეშმაკულ მიზანს ისახავს, ესეც არ არის ძნელი გასაშიფრავი. ყურადღების მისაქცევად ადამიანმა ყველაფერი არ უნდა იკადროს.

**– ზედელაშვილის ჟურნალისტიკას უთუოდ იცნობთ, მაგრამ კოდალაშვილის რამე ნაღვაწი თუ წაგიკითხავთ?**

– გავიგე, რომ პატივცემული ლელა კოდალაშვილი, კრიტიკული წერილებისა და მოთხრობების გარდა, შიგადაშიგ, ლექსებსაც წერს, მაგრამ ამდენი დრო არ მქონდა და დასაგემოვნებლად (კომპიუტერი ხელმისაწვდომს ხდის ასეთ ფუფუნებასძ) წავიკითხე მისი ერთი ესეი – „გივი ალხაზიშვილის ახალი „ოთახი“, რომელიც, მეტი რომ არა ვთქვა, უცხო ტერმინების კორიანტელში გახვეულ აბდაუბდად წარმომესახა.

არ ვიცი რა აზრით, მაგრამ ამ „ესეში“ გივი ალხაზიშვილი „ნეოფუნქციონალისტადაა“ სახელდებული და იგი არის ზეწვის ხიდზე გამავალი პოეტი, ვინც „...მთლიანობაში განსხვავებული გემოს და სურნელის თაიგულს ქმნის“. ასევე ნათქვამია, რომ თავის ფრიად ორიგინალურ პოეზიაში იგი ცდილობს „...არ დაირღვეს ზომიერება, არ გაჟონოს დისბალანსის გოიმურმა ნარატივმა და მოხდეს ერთმანეთის გამომრიცხავი ფორმების ბუნებრივი ინსტალაცია“.

კარგი იქნებოდა, ამის დამწერს „ლექსის ჟღერადობრივ მხარეზე“ თავისი „დაკვირვებანი“ უფრო გაშლილად წარმოედგინა, მაგრამ, როგორც თავად აცხადებს, ასეთ დროს ტექნიკურ ხერხებზე საუბარი მიზეზთა გამო არ უყვარს.

ამ ესეს ობიექტის ადგილზე რომ ვიყო, ქებად არ მივიღებდი, ნამდვილად არ მესიამოვნებოდა ასეთი შედარება თუ პარალელი: „... ეს ლექსები წვეულებაზე წამსვლელი ადამიანებივით კოკეტები და საგანგებოდ გამოწყობილები არიან, რაც ცუდი არანაირად არ არის“. ცუდია ასე წერა. „ეტაპშეჯამებული კაცი“ რომ ეწოდებინა ჩემთვის ვინმეს, ვერც ეს დამაყენებდა კარგ გუნებაზე.

**– მაინც რით უნდა აიხსნას ბევრის ეს ნებაზე მიშვებულობა? ნუთუ მართლა ასე უსუსურ მდგომარეობაშია ჯანსაღი სალიტერატურო კრიტიკა?**

– ბევრისგან მსმენია, რომ ეს ქალბატონი, ბოლო ხანებში, როგორც იტყვიან, ნამეტნავად გაჯეჯილდა, ერთმანეთზე უარეს სისულელეებს ახეთქებს. არავინ გამოჩნდა, მოუსვენარ მაჯაში სწვდეს და დაქაჩოს, ოდნავად მაინც დააბრკოლოს. ასეთი სავალალო შემთხვევები, სამწუხაროდ, ეპიზოდურად როდი ხდება, ერთობ გახშირდა, ლამის ნორმად იქცა და ამის გამოა, ქართული მწერლობა ეშმაკეზშესეულ „უპატრონო ეკლესიად“ რომ გვექცა.

ძმაო გურამ, კი ვიცი, ასეთ პიროვნებასთან შეკამათება საკადრისი რომ არ არის, მაგრამ როცა გათამამებულ თუ გათავხედებულ უვიცობასთან შერწყმული უტიფრობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება, ძნელია, პირში წყალი ჩაიგუბო, აღშფოთება ორიოდე სიტყვით მაინც არ გამოხატო.

ეს ქალბატონი თავის ენას აღვირს რომ არ ამოსდებს, ყველაფერზე ეტყობა, მე კი აღვირახსნილებთან საპაექროდ არა მცალია. გარდა ამისა, ახლახან დიდი მწერლის, განსვენებულ ოთარ ჭილაძის ბრწყინვალე „ჩანაწერებში“ ერთი ბრძნული, გასათვალისწინებელი აზრი ამოვიკითხე: „ვისაც ებრძვი, იმას ემსგავსები“. მე იმ ჭაობში არ დავმდგარვარ, ლელა კოდალაშვილსა და მის ამყოლ-დამყოლებს გავუმართო ბრძოლა. უბრალოდ ვურჩევ, გონს მოეგონ და ქართული მწერლობის გათუთხვნას შეეშვან.

საერთოდ კი, ათასი ჭირის გადამტანი ქართული პოეზიის ბედი, მისი მომავალი, გელას და ლელას, ზედელაშვილისა და კოდალაშვილის ჰარმონიულად შეწყობილი წყვილის დონეზე ვერ გადაწყდება. თუ თავისსას არ და არ დაიშლის, ქალბატონ ლელა კოდალაშვილს შეუძლია, თავის მიერ საგულდაგულოდ შერჩეულ და ამოჩემებულ, გამოფუტუროებულ ტექსტებს რამდენიც გაეხარდება, იმდენი უკაკუნოს და ელოლიავოს. ამიერიდან და ამის მეტად ასეთ რამეებზე სალაპარაკოდ მე აღარ მოვცდები.

**ბატონ ემზარ კვიტაიშვილს რედაქციაში უმასპინძლა**

**გურამ გოგიაშვილმა.**

*P. S. ნეტავი ამჟამინდელი ქართველნი თუ მოვესწრებით ისეთ დროს, როცა საქართველოში პურს ნამდვილი მეპური გამოაცხობს, პოლიტიკურ პურსაც და საზოგადოებრივსაც? ნუთუ ჩვენ გარდა კიდევ სადმეა ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ყველაფრის მეპურეა?! სწორედ ამ ჩვენს საყოველთაო მეპურეობაში ხომ არ უნდა ვეძებოთ ჩვენი ცხოვრების აგრერიგად გაუკუღმართების სათავე?!. არადა ამდენი კუტი პური თითქმის ყველა დარგში მართლაც მეტისმეტია. მგონი, თვითონ ქვეყანაც კი კუტ პურს დაემსგავსა ამ ხელისუფლების ხელში...*

*გ. გ.*

დრო და მწერალი

**თუმცა კი სარედაქციო წრთობა ცნობილი კრიტიკოსისა და უბადლო მოქართულის ვასო ბაიაძის გვერდით „სახალხო განათლებაში“ გავიარე, მაინც, როდესაც „სკოლა და ცხოვრების“ კოლექტივში გადამიყვანეს, მთავარმა რედაქტორმა ერთ-ერთ იქაურ მუშაკს დაავალა: – წაიყვანე და დასვი იქ, სადაც ჯერ არს!**

**რედაქტორის ეგ დავალება მეუცნაურა.**

**მოგვიანებით შევიტყვე: ამ კოლექტივში წესად ჰქონიათ დადებული – ყოველ გარედან მოსულ ახალ კაცს ადამიანობის სკოლა და ენობრივი წრთობა მიხეილ კეკელიძესთან უნდა გაევლო.**

ასე ღმოვჩნდი ცნობილი მწერლის მიხეილ კეკელიძის (1911-1996 წ.წ.ძ ოთახში. იმხანად ერთობ გახმაურებული გახლდათ მისი რომანი „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“ (პირველი გამოცემა – 1962ძ, რომელსაც უკვე დაეჩრდილა გამოცდილი პედაგოგისა და ჟურნალისტის მთელი ადრინდელი მოღვაწეობა. არადა, იმ დროისათვის უკვე შექმნილი ჰქონდა ანდა გამოსაცემად ამზადებდა პირველხარისხოვან პედაგოგიკურ ნარკვევებსა და საყმაწვილო მოთხრობებს. ესენია: მეცნიერულ-ესეისტური ნარკვევი დაუვიწყარ სიმონიკა სხირტლაძეზე, უაქტუალურესი შენიშვნები კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე, საყმაწვილო მოთხრობები (1949ძ, ისტორიულ-პედაგოგიკური თვალსაზრისით ერთობ საგულისხმო „გორის სამასწავლებლო სემინარია“ (1955ძ, სხვადასხვა მოთხრობები (1954ძ, ნარკვევი სემიონოვის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე (1954ძ, „იზარდე, მწვანე ჯეჯილო!“ (1972ძ, საქმის ღრმა ცოდნითა და ენობრივი გემოვნებით გამორჩეული ნარკვევები თავისი დროის დამამშვენებელ პედაგოგ-მოღვაწეებზე – ვახტანგ თულაშვილსა და ვარლამ ხუროძე-მალაქიაშვილზე...

ამ ნარკვევს პედაგოგიკის ისტორიისათვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

ოღონდაც...

და აი, აქ იწყება ნამდვილი მიხეილ კეკელიძე. იგი ხომ, უწინარეს ყოვლისა, მწერლად დაიბადა და სწორედ ამ სფეროში პოვა თავისი მოწოდება, ასევე – მკვიდრი ადგილი სიტყვაკაზმულობის ისტორიაში.

კომუნისტურ ეპოქაში ბეჭდვა ჭირდა. ამიტომ მძიმე-მძიმედ და დიდი ინტერვალებით გამოვიდა მისი ტრილოგია, ვიეთნი რომ სამ რომანად წარმოიდგენენ, ოღონდ მე კი ერთ სამტომიან ქმნილებად მიმაჩნდა და მიმაჩნია. ესენია: „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“, „ჯვარცმული ქვეყანა“ (1978ძ, „შავი ღრუბლები“ (1994ძ.



მეგობრები: მიხეილ კეკელიძე და სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძე

სამივე რომანი ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ზოგადი კონცეფციის ძიებაა. რომანები ეხება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ურთულეს, ე. წ. გარდატეხის პერიოდს, ისტორიულ გზაჯვარედინთან მდგარ ქვეყანას. მწერლის ხელთ თავი მოიყარა „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა მატიანეთა, არქივ-საცავთა მდიდარმა მასალებმა, რომელთა უწყვეტ ნაკადად დალაგება და მწყობრი კონცეფციის შემუშავება ავტორს ძნელი ამოცანის წინაშე აყენებდა. აქ უნდა გამოძებნილიყო რაიმე ერთიანი სახე-სიმბოლო, რომლის იდეურ ქარგაზეც აიკინძებოდა ამბავთა კრიალოსანი. მგონია, შემოქმედმა მას წარმატებით მიაგნო. გავიხსენოთ „ჯვარცმული ქვეყნის“ ერთი ფრიად საგულისხმიერო მომენტი:

# ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი



ბიძა-ძმისწული: კორნელი და მიხეილ კეკელიძეები

ნადირ-შაჰის ლაშქარში მყოფი ერეკლე ბატონიშვილი და ქართველი მხედრები ინდოეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვეფხვებზე სანადიროდ წავლენ: ძუ და ხვადი ვეფხვები თავისებურ მახეში – საგანგებოდ მოწყობილ ქართაში – მოემწყვდევიან. გასასვლელი ჩაკეტილია და ბუნების ეგ მშვენებანი ორ რიგად დარჭობილ ბამბუკის მესრებში დაიჩიხნენ; შიგნით მოთავყუდებულთ გასაბრაზებლად და გასამწარებლად ცეცხლწაკიდებულ ჩულებსა და ქვებს ესვრიან. ბოლოს ცხოველები ისკუპებენ და თავს გადაევლებიან პირველ მესერს, ოღონდ მეორე მწკრივის თავწამახულ ბამბუკებზე კი წამოეგებიან: ხვადი – მუცლით, ძუ – ბარკლით. ხალხი ძუს ცეცხლიან მუგუზლებს დააყრის, რა არის, გაიწ-გამოიწიოს და უფრო კარგად შეერჭოსო ბამბუკი. მან კი, უცნაურად გაყუჩებულმა, მოულოდნელად მძლავრად გაიწია, ბამბუკი გადატეხა და გაოცებულ მაყურებლებს ხელში სამი ფერდშელეწილი კაცი შეატოვა. მოვიშველიოთ თავად მესიტყვე:

„კოჰატო ისევ წუწუნებდა:



მიხეილ კეკელიძე.

– ეგ ვეფხვი ეშმაკია, საიბ, არ მოკვდება, ჭრილობებს გაილოკავს და მორჩება, ლეკვებსაც დაზრდის! ეგ სხვა ჯიშის ვეფხვია, საიბ!..

– ნეტა შემახვედრა ეგ ვეფხვი და მისი გაზრდილი შვილები! – ინატრა ცისკარიშვილმა.

– რად გინდა, ბიჭო? – შეესიტყვა ერეკლე.

– ვეტყვი იმ დაზრდილ ლეკვებს, რა ცეცხლშიაც გამოიარეს მაგათმა მშობლებმა! რა წამებით მოუკლეს მამა, რა ტანჯვით დააღწია თავი მტრებს ძუ ვეფხვმა, დასისხლულმა და დაგლეჯილმა, რომ თავისი შვილებისათვის მიეხედა და სიკვდილისაგან ეხსნა!“

მიხეილ კეკელიძე ისე წარმართავს ამ შესანიშნავ დიალოგს, რომ მკითხველი თანაგრძნობით იმსჭვალება ვეფხვების მიმართ და გრძნობს, უკეთ, თავში გაუელვებს ფიქრი – და განა კი ჩვენი წინაპრები ამ ვეფხვების ბედში არ აღმოჩენილან და მათს მსგავსად არ უვაჟკაციათ, რათა დაფლეთილ-დასისხლიანებულები საკუთარი სხეულით გადაგვეფარებოდნენ, ხოლო თვითონ ავტორი პერსონაჟ ცისკარიშვილის ადგილს იკავებს რომანში და მხატვრული მემატიანის პირუთვნელობით, ფაქტებზე ძალდაუტანებლად მოგვითხრობს იმას, რასაც ნატრობდა ცისკარიშვილი: წინა თაობების შთამომავალთ გვიხსნის და გვიწიგნავს, თუ რა ცეცხლს დააღწიეს თავი ჩვენმა წინაპრებმა, როგორ მოვაღწიეთ დღემდე იმ ისტორიულ თავწყვეტასა და დელგმაში.

ქმნილებებში ნაჩვენებია ძლევამოსილ შაჰთა ნებით ქართველ მეფემთავართა მარიონეტული „დასმა-გადმოსმა“ ტახტზე. ავტორმა იცის, რომ „ძალა აღმართსა ხნავს“, ოღონდ სადამდე? და გვთავაზობს სავსებით მისაღებ თვალსაზრისს, რაიც ისტორიული ფაქტია: თუმცა კი შაჰები და ქართლ-კახეთის მეფეები „თამაშობდნენ“ ამგვარი „ბოძება-მიღების“ თამაშს, ხალხი, უბრალონი და საბრალონი, მიწის მაშვრალნი, გულდაგულ ებრძოდნენ მიწას, წურავდნენ ყურძენს, აყენებდნენ ღვინოს, ხნავდნენ და თესავდნენ; ამრავლებდნენ ერს, არ გარბოდნენ უცხოეთში და ქართული თონე ისევ ისე აცხობდა დედას პურს, ვაზი ისევ იყრიდა რქას, შემოდგომა შემოდგომობდა და გულქართლი ჭაბუკები ჭაბუკობდნენ. ასე მიიწევდა ერი წინ თავისი ცხოვრების ისტორიულ გზაზე.

სამივე რომანში მწერალმა ძელსა ჰკრა.

იმ დედოზარის ხმა კამერტონივით ჟღერს და დღესაც ყურს გვიხდენის: „საით, საქართველო, საით?!“

ისტორიული რომანის სპეციფიკა სწორედ ის არის, გარდასულ ჟამთა გამოცდილებაში სადღეისო და სამერმისო მარცვლები ამოკრიფოს, ჭკუისსასწავლი მაგალითები თვალწინ აგვიელვაროს.

მიხეილ კეკელიძის რომანები ამას დასტურყოფენ.

**მურმან თავდიშვილი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ოპოზიცია სიტუაციას არყევს

**ორშაბათს თბილისში ოპოზიციის საპროტესტო აქცია დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. შედეგად დააკავეს მიტინგის ათი მონაწილე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს შენობასთან. დაპატიმრებულთა შორის არის ცნობილი პოლიტიკოსი ადა მარშანია. საქართველოში პოლიტიკური გაზაფხული ერთობ ცხელი უნდა იყოს – ძირითადი მოვლენები, როგორც ამას ოპოზიცია გვპირდება, დაიწყება სააღდგომო დღესასწაულების შემდეგ.**

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეების მიერ არჩეული ტაქტიკა ამჟამინდელ პოლიტიკურ სეზონში განსხვავდება წინანდლისგან. თუ ადრე ოპოზიცია ძალისხმევას არ იშურებდა საყოველთაო გაერთიანებისთვის და ცდილობდა მიეღწია რაიმესთვის ოდენობით, ამჟამად, როგორც ჩანს, მან შეიგნო ინტეგრაციული მოვლენების უნაყოფობა და ახლა ოპოზიციონერები მიდიან თითოეული თავისი გზით, საუბრობენ ქვეყნის ხელმძღვანელისა და მისი თანამებრძოლების მიუღებლობის შესახებ. ეს კანონზომიერად გამოიყურება – ხელისუფლებასთან ერთიანი ბრძოლის მეთოდი არ არსებობს. რეჟიმის მოწინააღმდეგების ნაწილი არ მალავს იმას, რომ ამზადებს გადატრიალებას. სხვები ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში ცდილობენ მიაღწიონ საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებას, რათა მოიპოვონ წარმატება სახელისუფლო გარდაქმნაში კანონიერი გზით.

ოპოზიციის მიღწევებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. რევოლუციის შესახებ, რასაც რადიკალები აპირებენ, შეიძლება მხოლოდ ზოგადად ვილაპარაკოთ და ვირწმუნოთ ან არ ვირწმუნოთ მთელ ქვეყანაში დაუმორჩილებლობის რაზმების შექმნის შესახებ.

ეგრეთ წოდებული კონსტრუქციული ოპოზიციის – „ოპოზიციური რვიანის“ მოლაპარაკება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ ასევე არაფერ რეალურს არ იძლევა. ყველა მათი წინადადება ხელისუფლებამ უარყო, შემდეგ „რვიანი“ დროებით გამოვიდა მოლაპარაკების პროცესიდან, მისცა ხელისუფლებას დრო – „გაათვითცნობიეროს სიტუაცია და არ მიიყვანოს საქართველო კატასტროფამდე“. ამ დროს რადიკალებიც და კონსტრუქტივისტებიც განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ, თუ დასავლეთის მხარდაჭერაზე არა, მის მიერ გაგებაზე მაინც: ბოლოს და ბოლოს ეგვიპტის ექსპრეზიდენტი ხოსნი მუბარაკიც გარკვეული დროის განმავლობაში სავსებით თავისიანი იყო.



ჯერჯერობით ზოგიერთები ემუქრებიან ხელისუფლებას, სხვები ცდილობენ მოლაპარაკებას, ზოგიერთი კი ცდილობს დაუახლოვდეს ნაციონალურ მოძრაობას და სააკაშვილს, მიუხედავად გარეგნული გათიშულობისა რეჟიმის ეს მოწინააღმდეგეები, როგორც ჩანს, იცავენ ერთ საერთო გეგმას აქციების ორგანიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზემოხსენებული მანიფესტაცია ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს შენობასთან მიმართული იყო თემიდის მორჩილებისადმი ხელისუფლებისგან. მეორე ასეთი აქცია, პოლიტიკური პატიმრებისადმი სოლიდარობის ნიშნით, უფრო ადრე გაიმართა თბილისის ცენტრში მეტროს სადგურ „რუსთაველთან“. მესამეში აქტივისტებმა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეორე არხისგან მოითხოვეს ოპოზიციის საქმიანობის ობიექტური გაშუქება, რაზეც ხელისუფლებამ მათ დაპირება მისცა.

ხელისუფლების საპირისპირო ზომები ჯერჯერობით პროპაგანდაა, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობს მთელ ქვეყანაში მოგზაური სააკაშვილი. სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს პრეზიდენტი თავგამოდებით საუბრობს უკანასკნელი წლების წარმატებებზე, არ ივიწყებს ოპონენტების, ოპოზიციის გესლიანობის შესახებ, წარუდგება ხოლმე მათ როგორც თავისი ბიჭი. ორშაბათს სააკაშვილი იყო დასავლეთ საქართველოში ქალაქ აბაშაში, სადაც დაიწყო ჰიბრიდული სიმინდის თესვა, რასაც იგი დიდ პოპულარობას უწევს თავის გამოსვლებში. ოპოზიციამ უმალვე გაიხსენა, თუ მმართველობის უკანასკნელ დღეებში ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც სიტუაციაზე კონტროლი დაკარგა, როგორ გაემგზავრა იმ მხარეს მოენახულებინა მეცხოველეობის ფერმები. მაგრამ ხსენებული ანალოგია ნაადრევად გვეჩვენება. შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილი ჯერ ისევ პოპულარულია, სამართალდამცვის ორგანოებში არეულობას ადგილი არ აქვს, ხოლო ოპოზიციამ გასაგები იდეები, რომლებსაც შეუძლია ხალხის აყოლიება, ჯერჯერობით ვერ წარმოადგინა.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# საქართველომ, შესაძლოა, კვლავ შეიტანოს სარჩელი სასამართლოში რუსეთზე

**თუ დიპლომატიური ძალისხმევები არ მოიტანს დადებით შედეგებს რუსეთთან ურთიერთობაში, შესაძლოა, საქართველოს მხარემ კვლავ მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ პრესკონფერენციაზე.**

მისი სიტყვებით, საერთაშორისო სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ამ ეტაპზე საქართველოს სარჩელის განხილვა შეჩერებულია.



„თუმცა ეს გადაწყვეტილება ხელს არ უშლის ჩვენს საქმიანობას. შუამავლების დახმარებით ჩვენ რუსეთთან მოლაპარაკების მუდმივ რეჟიმში ვართ, და ეს პროცესი გრძელდება. იმედი გვაქვს, რომ დიპლომატიური ძალისხმევა, ადრე თუ გვიან, მოიტანს შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ კვლავ მივმართოთ საერთაშორისო სასამართლოს“, – თქვა კალანდაძემ.

მისი სიტყვებით, ჰააგის სასამართლოში რამდენიმე მოსამართლემ დასკვნა საქართველოს სასარგებლოდ გააკეთა. მათ შორის კალანდაძემ გერმანიის წარმომადგენელიც დაასახელა.

TREND

# პატიმრები საქართველოში

**1 აპრილს ორი ისრაელელი ბიზნესმენი აღიარეს დამნაშავედ ქრთამის მიცემის მცდელობაში – ეს იყო შემთხვევა, რომელიც იმუქრება დაანგრიოს საქართველოს იმიჯი, როგორც ქვეყნისა, რომელიც ხელსაყრელია უცხოური ინვესტიციებისთვის, შემთხვევამ გააძლიერა შეშფოთება იმის გამო, არის თუ არა საქართველო მიმზიდველი საქმიანი თვალსაზრისით, როდესაც წინა პლანზე საკუთარი ინტერესებია წამოჭრილი.**

რონ ფუქსი და მისი თანაშემწე ზევ ფრენკელი აღიარეს დამნაშავეებად ფინანსთა მინისტრის მოადგილის ავთანდილ ხარაიძის მოსყიდვის მცდელობაში. ფუქს მიუსაჯეს 7 წლის პატიმრობა, ფრენკელს ნახევარი წლით ნაკლები. განაჩენები ოდნავ უფრო მსუბუქია კანონით გათვალისწინებულ მაქსიმუმზე ასეთი დანაშაულებისთვის. იგი 8 წლის პატიმრობას ითვალისწინებს.

ამჟამად სასჯელგამოტანილები დააპატიმრეს ოქტომბერში პოლიციური ოპერაციის ფარგლებში – შვიდი თვიდან მას შემდეგ, რაც ფუქსმა და მისმა ბერძენმა პატრიოტმა მოიგეს არბიტრაჟში საქმე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

ამავე დროს სასამართლომ ზემოხსენებულ პირებს დააკისრა 100 მილიონზე მეტი დოლარის გადახდაც.

გამოძიების მონაცემებით, ფუქსი და ფრენკელი ცდილობდნენ მოესყიდათ ხარაიძე, რათა დახმარებოდა მათ თავიდან აეცილებინათ მთავრობის გეგმები ამ გადაწყვეტილების აპელაციასთან დაკავშირებით. ორივე უარყოფს ბრალდებას და ცდილობს შეიტანოს აპელაცია თბილისის საქალაქო სასამართლოში მაისში.

საქმეს მოსყიდვის შესახებ თბილისში არ აქვს პირდაპირი ზემოქმედება არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე ფულადი სახსრების გადახდასთან დაკავშირებით, მაგრამ ვერდიქტს უთანხმებენ მმართველი პარტიის პოზიციას იმის შესახებ, რომ ფუქსს სურდა გამოეყენებინა მექრთამეობა და მოსყიდვის წინადადებები, რათა უკანონოდ მოეპოვებინა უფლება მილსადენებზე.

გიგი წერეთელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ამ საქმეს აქვს „კორუფციული ფესვები“, რომლებიც „არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონიერად“. მაგრამ მიმომხილველები გვაფრთხილებენ, რომ პოტენციური ეფექტი ამ საქმისგან მოსყიდვის შესახებ და იმისგან, თუ საქართველოს მთავრობა როგორ მიუდგა ისრაელელების დაპატიმრებას, ქვეყანას გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე იგივე ასი მილიონი დოლარი.

უარყოფითი რეაქცია დაპატიმრებებზე და სისხლის სამართლის სპეცოპერაციაზე დაიწყო დაპატიმრების უმალვე, როდესაც ისრაელის მთავრობამ ბრალდება სამართლიანად არ მიიჩნია. ხმები იმის შესახებ, რომ ორმხრივ ურთიერთობაში წარმოიშვა დაძაბულობა, გაძლიერდა მას შემდეგ, რაც პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ გადადო თავისი ვიზიტი ისრაელში მიმდინარე წლის მარტში. იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ინვესტიციების ეროვნული სააგენტო ამტკიცებენ, თითქოს ისრაელის საინვესტიციო ინტერესი საქართველოსადმი კვლავ მაღალია, არის იმის ეჭვიც, რომ საქართველომ გაწირა პოტენციური ინვესტიციები, რათა სამაგიერო გადაეხადა.

ეს განაჩენი, როგორც ადვოკატ არჩილ კბილაშვილს მიაჩნია (იგი იცავდა ფუქსსა და ფრენკელსძ, მოახდენს „საშინელ გამაცივებელ“ ეფექტს ბიზნესზე. „თუ ეს შეიძლებოდა შემთხვეოდა ფუქსს, იგივე შეიძლება დაემართოს ნებისმიერს“, – განაცხადა მან ჩვენთან საუბარში განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ.

ლინკოლნ მიტჩელმა კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტიდან, მიუხედავად ამისა, აღნიშნა, რომ სასამართლო ზიანს არ მიაყენებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას, მაგრამ ამავე დროს აღიარებს, რომ მას პოტენციურად შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ინვესტორებზე, წაართვას სურვილი მათ ხელი მოჰკიდონ ბიზნესს საქართველოში და მოახდინონ საქართველოს ოფიციალური განცხადების დეზავიურება ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ.

თუმცა, წერეთელი დაჟინებით აცხადებს, რომ საქართველო კვლავინდებურად ღიაა ბიზნესისთვის. „არ მიმაჩნია, რომ ეს სერიოზულ ეფექტს მოახდენს ორმხრივ ურთიერთობაზე, ან საქართველოში საქმიან ინვესტიციებზე, ვინაიდან ყველა, ვისაც სურს გაიგოს, რაც მოხდა, დაინახავს ამავე დროს ყველა ფაქტსაც, თუ რატომ მოხდა ეს“, – ამბობს იგი და მიუთითებს, რომ მთავრობა „ყოველმხრივ დაეხმარება“ კომპანიებს, ვისაც ექნება განზრახვა „კანონიერ ბიზნესზე“.

მაგრამ მიტჩელმა აღნიშნა ისრაელელების დაპატიმრების დაპირისპირება საქართველოს კურსთან ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ „არეულ-დარეული“ იმიჯი არ არის ხელსაყრელი პოტენციური ინვესტორებისთვის. იმის ნაცვლად, რომ ხაზგასმით იქნეს აღნიშნული მისი მაღალი მორალური დონე რეგიონში – იგი არის ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს ნატოს მისიას ავღანეთში – სასამართლო ბადებს შეკითხვებს საქართველოს ორიენტაციასთან დაკავშირებით. მაგრამ ფუქსთან დაკავშირებული შემთხვევა... ქმნის გაცილებით უფრო რთულ, აბნეულ-დაბნეულ სურათს“, – ამბობს მიტჩელი.

bne businessneweurope

## დედამიწის ზურგზე



**გემის დაღუპვა იტალიის „იმიგრანტების კუნძულთან“: უკვალოდ 150 კაცი დაიკარგა**

ხმელთაშუა ზღვაში ლამპედუზუს კუნძულთან ჩაიძირა ნავი 200 აფრიკელი ლტოლვილით, მათგან დაახლოებით 47 კაცი გადაარჩინეს. დანარჩენები, როგორც ჩანს, დაიღუპნენ. ტუნისის სრუტეში კვლავ ცუდი ამინდია. სწორედ ამიტომ ლამპედუზუში, რომელიც გადატვირთულია ემიგრანტებით, უკანასკნელი ღდე-ღამის განმავლობაში არავინ გადმოსულა ხომალდიდან.

**ჯორჯ ბუშმა პოსტიდან წასვლის წინ თეთრ სახლში ბენ ლადენი მიიწვია**



„ალ-ყაიდის“ ლიდერის მეოთხე შვილმა ომარ ბენ ლადენმა განაცხადა, რომ 2009 წელს ამერიკის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა შესთავაზეს მას დახმარება და დაცვა, თუ იგი მიუთითებდა თავისი მამის ადგილსამყოფელს. ორი წლის შემდეგ ომარ ბენ ლადენმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ თქვა მან მაშინ უარი.

**იაპონელი სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ რადიოაქტიური წყლის გადინება ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსუმიდან“ შეიძლება განახლდეს**




იაპონიის ბირთვული და სამრეწველო უსაფრთხოების სააგენტო აღნიშნავს, რომ გადინების მხოლოდ ერთი წყაროთი შეუძლებელია ზღვის წყლის მოწამვლის მაღალი დონის ახსნა. სააგენტო დაბეჯითებით მოითხოვს ოპერატორებისგან გააგრძელონ ნაპრალების ძებნა.

**ლიბიელი მეამბოხეები ნატოს გააწბილა, აშშ მზადაა იმოქმედოს დამოუკიდებლად**

ოპოზიციის გენერალური შტაბის უფროსმა ბრალი დასდო ნატოს დაყოვნებით მოქმედებაში და აღნიშნა, რომ ალიანსი ვერ ამართლებს მის იმედებს. მან არ გამორიცხა, რომ მიმართავს გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, შეაჩერონ კოალიციის ძალების ოპერაცია. პენტაგონმა განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში მზად არის განახორციელოს დამოუკიდებელი ოპერაციები ნატოს გარეშე.



ჩვენებურები

# მექანიკური მოქალაქეები

დაახლოებით ორი თვის წინათ საქართველოდან ქართული (პირველიძ რადიოდან დამირეკეს და კონკრეტულ საკითხთან – ამერიკაში ქართველი არალეგალების მდგომარეობასთან დაკავშირებით კომენტარი მთხოვეს. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ, ფაქტობრივად, ამ ადამიანების ასი პროცენტი, დაბალკვალიფიციური საქმიანობითაა დაკავებული (მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ და სამედიცინო დახმარების საშუალებასძ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლათ. თუმცა ისინიც, ვინც საბუთებს აკეთებს, განა იმისთვის ირჯება, რომ განათლების მიღება (მათ შორის ინგლისური ენის სწავლაძ ან თუნდაც თავიანთი დიპლომის „ევალუაცია“ შეძლოს, კარიერა შეიქმნას, „განუსაზღვრელი შესაძლებლობების ქვეყანაში“ თვითრეალიზება იგემოს, არამედ იმისთვის, რომ ოჯახის წევრები არა სკაპით, არამედ „რეალში“ დაინახოს, სახლში ხანდახან მაინც ჩავიდეს; შვილი, ოჯახის სხვა წევრები ამერიკაში ჩამოიყვანოს და ისევ ისე, იმუშაოს, როგორც მანამდე, ანუ საბუთებამდე: მოხუცის, ბავშვის მომვლელად, ქალლების გამსეირნებლად, დამლაგებლად. ბენზინგასამართ სადგურებზე, საპარიკმახეროში, სხვის სახლში; მშენებლობზე – „შავ მუშად“, ტვირთების გადმტანად. 24 საათი, 7 დღე კვირაში. სიცოცხლის ბოლომდე. უფრო სწორედ, სანამ შესძლებს. თავისთავად ამ პროფესიების საწინააღმდეგო, ბუნებრივია, არაფერი მაქვს, მაგრამ საუბარია წლების განმავლობაში „წინა ცხოვრების“ დროს მიღებული განათლების (უნარ-ჩვევებისძ ნიველირებაზე, პროფესიული თვითრეალიზაციის შეუძლებლობაზე, ტოტალურ დისკვალიფიკაციაზე; ასევე ამ უკანასკნელთან და კიდევ მრავალ ფაქტორთან დაკავშირებულ როგორც სომატურ, ასევე ფსიქიკურ პრობლემებზე, მათ შორის ემიგრაციითა და კულტურული შოკით მიღებულ მწვავე სტრესზე (ადაპტაციის სტრესი, ნევროზი, დეპრესია, პოსტტრავმულ-სტრესული დარღვევაძ. ისინი ამერიკაშიც, არასრულწლოვანი თუ სრულწლოვანი შვილის სწავლის ფულსა და საქართველოში დარჩენილი ოჯახისა და ნათესავმეზობელ-მეგობრების რჩენაში იხარჯებიან. საბუთებიანიც კი საუკეთესო შემთხვევაში 1 ან 2 წელიწადში ერთხელ 1-2 კვირით შეიძლება ჩავიდნენ, როგორც აქ ამბობენ, ჭირის დღეზე, „დედ-მამის საფლავზე“. ამისთვის კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ნემსის ყუნწში გაძვრომა უხდებათ. ამ ყუნწის გამო კი ყუნწგამოვლილებს უკვე აღარ ულირთ ის, რისთვისაც ამ აღთქმულ ყუნწში გაძვრნენ. რადგან ფასი ძალიან დიდი და არაპროპორციულია. ლამის, პიროვნულად დამანგრეველი. ბევრისთვის კი სულაც არა „ლამის“. პირადად უთქვამთ. არა ერთს, არა ათს, არა ოცდაათს. არა ორმოცდაათს. გაცილებით მეტს. ბევრი ისეთიც ვიცი, ვისაც სამშობლოში ჩასვლისთანავე ნათესავებისა და უცნობ-ნაცნობების ლეგიონი მისწყდომია და საკუთარი თავისთვის დროზე ადრე, უკან, ამერიკაში გაქცევით უშველია. მიზეზი მარტივია: ამერიკიდან ჩემოსულს ფული ბევრი უნდა ჰქონდეს. სამშობლოში „დარჩენილთათვის“ კი აშშ-ის (ქვეყნის, რომლის კონსტიტუციაში ბედნიერება უფლებითი კატეგორიის ცნებადაა დაფიქსირებულიძ ცოდნისთვის ჰოლივუდის ფილმები, ლარი კინგის შოუ, ტრამპის სასტუმროებისა და ნიუ-იორკში დიდთოვლობის ხედების ჩვენება ჰყოფნით. ჰო, კიდევ „თაიმს – სკვერი“, ენდი უორჰოლისა და ჯაზ-ბლუზის რამდენიმე ცნობილი სახელის ცოდნა. ამ დროს კი აქ ჩვენებურებს არასრულფასოვანი კვებისა და ათასი სხვა მიზეზის გამო კბილები სცვივათ და „საბუთების გაკეთებას“ ელოდებიან, რათა პირის ღრუს ეს მნიშვნელოვანი შემადგენელი შედარებით იაფად საქართველოში შეიკეთონ და თან ემიგრაციის განმავლობაში დაგროვილ დაავადებებს ბოლოს და ბოლოს უმკურნალონ. თუ გვიან არაა, რასაკვირველია. აქაურ ქართულ ეკლესიაში ყველა გეტყვით, რომ ბევრი მათგანი ექიმთან წასვლის მაგივრად, საკუთარი ჯანმრთელობის პარაკლისს უკვეთავს. უფრო იაფია და დასწრებაც (სამსახურს ვერ გააცდენენძ არაა სავალდებულო. ორ ადამიანს, სიმსივნით დაავადებულს, პირადად ვიცნობ. მაინც მუშაობენ, რომ სამსახური არ დაკარგონ, რათა ფული სახლში გააგზავნონ. ტკივილის ბოლო წვეთს ელოდებიან...

პარაკლისები ასევე გადაიხდება საქართველოში გარდაცვლილი ქმრის, ცოლის, დედის, მამის, ძმის, დის, შვილის, შვილიშვილის გამო. ამ და ოდნავ განსხვავებული წესით „დაუსწრებელი“ პანაშვიდები, გასვენებები (მისამართი: მოსავლელი ადამიანის სახლი ანუ სამსახურიძ, ორმოცები, წლისთავები და ხუთი წლისთავებიც გადაიხდება. შვილზე ათი წლისთავის გადამხდელს ერთს ვიცნობ... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ახლობლების დაბადების დღეებსა და ქორწილებს პანაშვიდ-წლისთავების მსგავსი წონა არა აქვთ. სიკვდილი აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვიდრე დაბადება. თუნდაც შვილიშვილის.

სურავანდშეყრილებს ჰგვანან ხანდახან. ანდა სუმოისტებს – არაჯანსაღი ცხოვრების წესითა და „ჯანკ ფუდით“ გაფუებულებს. რამდენიმესგან ამგვარი რამაც მოვისმინე: ბოლო წელს იქნებ ჩემთვის ვიმუშაო, აქ პლასტიკური ოპერაცია გავიკეთოო, სპორტზე ვიაროო, ჯანსაღი, „ორგანიკი“ საკვები ვჭამოო; აბა, რას იფიქრებენ აეროპორტში ასეთ დაბერებულ-დანაოჭებულს რომ დამინახავენ? ბოლო-ბოლო ამერიკაში ვიყავი. სირცხვილიაო... მოხუცთან მუშაობის დროს ამავე მოხუცების მიერ ნაჩუქარი, ნახმარი ძველი ტანსაცმელი აცვიათ. წლები გადის და ვალებიდან მაინც ვერ ამოდიან. ამერიკელები კრედიტით ცხოვრობენ, მაგრამ „ქართული ვალი“ სულ სხვა წარმომავლობისაა. ცხოვრება გადის და სამეტყველო რეპერტუარი მწირდება: ყოველდღიური ვერბალური „ტექსტები“ მოსავლელი ბებია-ბაბუების დღის განრიგისა და შარდის ფერის „ჩარჩოშია“ ჩასმული. მეგობართან საუბარიც ამით იწყება და ამით მთავრდება. მათი ოჯახის წევრები კი ბინის რემონტის ხარჯთაღრიცხვის დროს „პატარა წვრილმანს“ ამატებენ, მაგალითად, ასეთს: ვარდისფერი მარმარილოს ბუხარი. ოჯახს ხომ უნდა დაეტყოს, რომ ერთ-ერთი მათგანი ყველაზე წარმატებულ ქვეყანაში – ამერიკაშია? ამერიკას არ უყვარს წარუმატებელნი. ჰო, არც სხვებს უყვართ „ეგეთები და ასეთები“. ვალს ვალი ემატება, წელს – წელი, ჩამოცვენილ კბილს – ჩამოცვენილი კბილი, დეპრესიას – დეპრესია, დაღლილობას – დაღლილობა, გაწბილებას – გაწბილება, გახევებას – გახევება, სინანულს – სინანული, სნობობას – სნობობა. რამდენს შეუჩივლია ჩემთვის, განა მხოლოდ ლექსიკის, არამედ თვალსაწიერის შევიწროების სამედიცინო სიმპტომები. სამაგიეროდ, ამერიკული ოცნება ქართულ ოცნებად ითარგმნება. ესენი კი ამ თარგმანში დაკარგული უჩინარნი არიან. ლავიაფანისთვის უინტერესონი თავიანთი ტრივიალური, არაგლამურული, „წვრილმანი“, შეწირული ცხოვრებით და ამით ბედნიერნი, კმაყოფილნი. ამ კმაყოფილების კარგად თუ ცუდად მოთამაშენი. საკუთარ თავს აჯერებენ, რომ ესაა მათი ბედნიერება, მუდმივი სიხარულის განცდა, მაგრამ... დაბლაგვებული. არა მარტო ლავიაფანი, არამედ საზოგადოებაც, არასამთავრობო სექტორიც, ოჯახიც დაყრუვდა და დაბრმავდა. ყველაფერი ერთი-ორი სიტყვით ისეთი ადვილი ასახსნელი გახდა. აქაც და იქაც მიზეზშედეგობრივი კავშირი ზუსტად სამ წინადადებაში დაეტევა: „ქვეყანას უჭირს, ოჯახს უჭირს, აბა, სხვა რა გამოსავალია. სხვა რა ქნან (მათ – ისძ. ჩვენ რა ვქნათ?“. გაზეპირებულია „მამაო ჩვენოსავით“... გარიყულნი და გაყინულნი, რომელთა ცხოვრება, ყოველგვარი სოციალურად კრიტიკული კონოტაციის გარეშე აღიქმება, ანუ ითვლება, რომ ეს ასეც უნდა იყოს; წლების განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს; „შეწირულებმა“ კი თავიანთ თავს დააბრალონ – თავად აირჩიეს ეს გზა, ეს მათი ბედია, მათი პირადი და საზოგადო ბედნიერება ხომ ახლობლების, სამშობლოს, დემოკრატიის მშენებლობის ბედნიერება და ბიძაშვილისთვის დროზე გაკეთებული გლანდების ოპერაციით მიღებული კმაყოფილებაა. ცხოვრობენ სხვათა ცხოვრებით, სხვათა სიხარულებით. „არაფერი პირადი“. საქართველოში კი გზას გზა ემატება, ბინას – ბინა, რემონტს – რემონტი, ლიფტს – ლიფტი, საგარაკე ფართობს – საგარაკე ფართობი, ჯაკუზის – ჯაკუზი, ჯიპს – ჯიპი, საგზურს – საგზური, ოპერაციას-ოპერაცია, ფასიან განათლებას – ფასიანი განათლება, დიპლომს – დიპლომი, ქორწილს – ქორწილი, „პაეზდკას – პაეზდკა“, შვილიშვილს – შვილიშვილი, პასუხისმგებლობას – პასუხისმგებლობა, საფლავს –საფლავი. „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლისგან“ განხიბლულნი, ჩვენი დროის გმირები, „ეკონომიკური“ განსაწმენდლის გამოცდების „ფრიადზე“ ჩამბარებელნი. ამ ქართული წარმატებისა და ეკონომიკური სასწაულის შემადგენელი უჯრედების მოლეკულები და ატომები, გამოწურული საუჯრედე სითხითა და შემოჭმული ბირთვით.... საქართველოში კი, ამ „ყველაზე-ყველაზე“ ქვეყანაში სტალინის ერთი ნაშრომის სახელწოდებისა არ იყოს, „წარმატებისაგან თავბრუსდახვევაა“ თავისი დეკორუფციზაცია-დეკრიმინალიზაცია-დემოკრატიზაცია - დევალვაცია-დეაქტივაცია-დემობილიზაცია-დეზორიენტაცია-დეზინფექცია და სხვა „დეებით“, მათ შორის-დეჰუმანიზაციითა და პარალელურ რეჟიმში „იზაცია“ ბოლოსართებით. მაგალითად, მოდერნიზაცია-ლიბერალიზაციის ჩათვლით.

კვლავ დავუბრუნდები ზემოხსენებულ გადაცემას, სადაც ჩემი საუბარი შეეხებოდა ამერიკაში მომუშავე ქართველების, უმთავრესად ქალების, რეალურ მდგომარეობას, მათ პრობლემებს და იმასაც, რომ, ჩემი აზრით, „კრავთა დუმილი“ ოქრო სულაც არაა. საქართველოში რადიოს სტუდიაში მყოფი ერთ-ერთი სტუმარი, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი დარეჯანი, რომელიც ემიგრაციის საკითხებზე მუშაობს თურმე, ჩემმა სიტყვებმა ძალიან გააღიზიანა. მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ტრადიციული ქართული სადღეგრძელო არ ვთქვი – მონატრებული მტკვრის ან რიონის ჩუხჩუხზე, იბერიის საბოლოო და შეუქცევად გაბრწყინებაზე და ფქვილი – იქა (საქართველოშიძ, ქატო – აქა-ზე (ამერიკაში და ტრადიციული ემიგრაციის სხვა ქვეყნებიძ. ჩემი და ამ ქალბატონის ეთერს მიღმა საუბარი კი იმით დასრულდა, რომ მან განმიცხადა : გვაცალეთ ცხოვრებაო... („ბატონოს“ გარეშეძ.

საქართველოში ემიგრაცია სავალუტო ერთეულებად კონვერტირდება და „გამოითვლება“. ამერიკიდან, ევროპიდან, ყოფილი სსრკდან გამოგზავნილი ფულით, ანუ ტრანსფერით. მითოლოგიზებული ქვეყანა საბანკო „გაზსადენით“ სამშობლოსთანაა მიერთებული. ემიგრაცია მეწველი ძროხა – ფანტომივითაა, რომელმაც იმისთვის უნდა იარსებოს, რომ სხვას „ცხოვრება აცალოს“, ანუ აცხოვროს. ერთმა – მეორის ხარჯზე. ეს მეორე კი რაც უფრო უტყვია, მით უკეთესი. რაც უფრო ბეჯითი და მოქნილია, მით უკეთესი. პირველი კი, რაც შეიძლება დიდი მონდომებით თავის მარჩენალს არ უნდა ამჩნევდეს. რუსეთის „ვსტავანიე ს კოლენ“ ნავთობდოლარებით განხორციელდა, საქართველოსი – ემიგრანტდოლარებით (ევროებით, რუბლებითძ. მაგრამ თუ პირველი „სუბსტანცია“ ნახშირწყლებისა და სხვა ორგანული ნივთიერებების ნარევია, მეორე გაცილებით ფაქიზია – ადამიანის სიცოცხლე, სული-გული, ცხოვრების გზა, განუმეორებელი, წუთისოფლური, წარმავალი. საქმე აბსოლუტურად განსხვავებულ წონით კატეგორიებთან გვაქვს. სოციალურ აზრს საქართველოში არ აინტერესებს „წარმატების“ რეალური, ადამიანური, თუნდაც მახინჯი, ნაცრისფერი სახე. რადგანაც ეს ზეიმი, კარნავალი და ცისარტყელა არაა. ეშმაკისეული დეტალები კი, როგორც არასაინტერესო ბალასტი, საზოგადოების ინტერესის სფეროს მიღმაა. ანა ახმატოვას ლექსის „ხელოვნების საიდუმლოებანი“ პროზაულ ინტერპრეტაცია რომ მოვიშველიოთ: „რომ იცოდეთ რა ნაგვიდან იზრდებიან ლექსები (კაპიტალიზაცია, უძრავ-მოძრავი ქონება, ფასიანი სასწავლებელი და ა.შ.ძ, უსირცხვილოდ“... რადგან მახინჯი არაესთეტურია და ამიტომ – ამორალური. ბიწიერს კი რა ხელი აქვს ქართველობასთან? საზოგადოებას არც ის აინტერესებს, რისა და ვის ხარჯზე ტკბილდების კენწერო და ტკბილდების კი საერთოდ? იქნებ მწარდების? მაგრამ რახან კლასიკოსმა თქვა... მწარე კი ვერ ჯდება დღევანდელი გლობალური ქართველის პორტრეტში და ეს არ ეხება მხოლოდ ემიგრაციას.



პლასტიკური ოპერაციები ახალი ესთეტიკის შემომტანი გახდა. ამიტომაც უკვე პირდაპირ ეთერში კეთდება. და არა მარტო საქართველოში. ალსარებისა და ცრემლების, ანუ ოდნავი ტკივილის ან მამაპაპური ანესთეზიის ფონზე. „სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს“. სიტყვები „გვაცალეთ ცხოვრება“ სულაც არ იყო შემთხვევით ნათქვამი და აქ არც მხოლოდ ფროიდის „წამოცდენის“ თეორიით შეიძლება დავკმაყოფილდეთ. „ლიტანიოზა“ ამ ფრაზით გარკვეულწილად იმის მაჩვენებელია, თუ ვინ ან რა არის პრიორიტეტული საქართველოში. დამყარდა პოსტმეოცესაუკუნის პოლიტიკურ-სამოქალაქო სუბორდინაცია თავისი ეთნიკური კუთხურობით, ერთგვარი ქართული პოპსა: ვინაა პირველი და ვინ – მეორეხარისხოვანი ან სულაც მეცხრეხარისხოვანი. ვის აქვს თვითრეალიზაციის უფლება და ვის – არა; ვინ – არის „სხვა“ და ვინ – „ჩვენი“, ვინ უნდა იცხოვროს და ვინ – არა. სად უნდა იყოს ჭირი და სად – ლხინი. ქვეყნის საზღვარს გადაკვეთილი ჭიშკარს იქით აღმოჩნდა. საკუთარ ლოგეს იქით კი სრულდება ის, რაც ლოგეს აქეთ, საკუთარ სამზარეულოში თუ სასტუმრო ოთახში, განსაკუთრებით სუფრასთან, დეფიციტი არაა. ამიტომ უნდა აცხოვროს (მაცხოვროსძ მან – ის (მეძ. გეგასა და დარეჯანის „ტექსტები“ ამ მხრივ იდენტური დისკურსია. მხოლოდ გამოსაყენებელი, სახმარი ქსოვილია განსხვავებული. ორივე იყენებს, მანიპულირებს, „ალფონსობს“, თავისთვის ჩალიჩობს, მარიფათობს, მოქნილობს, ფსიქოლოგიურად ძალადობს. დიადი მიზნის მისაღწევად ეს „ბიზნესი“ ამართლებს. რაღაა იგი მიზანი თუ იგი დიადი არაა? საშუალებების გამოყენებაში არც უწინ დაგვიხევია და არც ახლა ვაპირებთ. ამიტომ „ოდნავ“ წინააღმდეგობრივიც მისაღებია, ცივილურია, არაკრიმინალურია, თუმცა „ლაითად“ ძალადობრივი, მაგრამ მოსულა, ამართლებს, თვალდასახუჭია, მისაჩქმალია, წვრილმანია, მოსათმენია, ასატანია, არასათაკილოა, საყოველთაოა, სისტემურ-სისტემატურია.

პოსტპერესტროიკის პერიოდში, სსრკ-ის დაშლის დროს, ნოსტალგიური ვერბალური „წატირებები“ საკმაოდ ერთფეროვანი და ერთხმოვანი იყო. იგი ძირითადად ეხებოდა იმას, თუ რა კარგად ცუდად, ცუდად კარგად, კარგად კარგად ან ცუდად ცუდად ვცხოვრობდით უწინ. როგორც წესი, საკუთარი მარჯვენით გაკეთებული ბრანწით გახეულ ან არგახეულ ჯიბეში. საფინალო, საკრალური „ფრაზა“ კი ყოველთვის ერთი იყო (ყოველ შემთხვევაში რაც მე მესმოდაძ: „რა გვეშველება!?“, სასოწარკვეთის, ნიჰილიზმის, ცინიზმისა და ინერციის სხვადასხვა დოზითა და ტემბრით. მერე დადგა „რა გვეშველება, რა გვეშველებას“ მხოლოდ ფორმალურად, თვალის ასახვევად ძახილისა და მარიფათის, რომელიც მდოვრედ გადავიდა უნარ-ჩვევაში, არაფორმალურად გამომჟღავნების დრო და უფლება. მაგრამ „გვეშველაგვეშველას“ ხმამაღლა დიდად აღარ გაიძახოდნენ, ქართული ბომონდის კარიკატურული პერსონაჟების გარდა. ზევიდან სტაბილური „ხელფასი“ და მასზე „დანამატები“ აღარ მოდიოდა. საქვეყნო და სასაქონლე „სუპერმარკეტში“ ყველასათვის სამყოფი „საყიდლები“ აღარ იდო.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ
(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 63

ვაი გაგრისაგან



# გადახედეთ წარსულს

ამ დღეებში ვარდ-ყვავილოვან საინფორმაციო სივრცეში ერთი ვაიუშველებელი ატყდა – არიქა, რუსები გაგრის მითვისებას ცდილობენ და იქ სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე ლას-ვეგასის მსგავსი გასართობი ზონის აშენებას აპირებენო.

ძალად მოპატრიოტე ნაციონალ-ფაშისტებს პატივისცემითა და მოკრძალებით მივუგებთ, რომ, სამწუხაროდ, იდეურ წინამორბედთა (ანუ „მოქალაქეთა კავშირისა"ძ და თვით მათი ძალისხმევით შავი ზღვის მარგალიტი დე იურე თუ არა, დე ფაქტო უკვე კარგა ხანია შეახრამუნა ჩრდილოურმა დათვმა და ახლა მის მითვისებას კი არა, „გაპრავებას" ლამობს.

გარდა ამისა, ჩვენი ბედკრული სამშობლოს ფიურერ-მთავარსარდლისა არ იყოს, უტიფრად რომ განაცხადა, ზესახელმწიფოსთან უთანასწორო ბრძოლაში მხოლოდ სალი კლდეები და ქვალორღიანი ტერიტორია დავკარგეთო? მაშ, როდიდანღა გახდა მიხაილ ნიკალაევიჩისთვის აფხაზეთი ზრუნვის საგანი, საკითხავი, აი, ეს არის.

რაც შეეხება სანაპირო ზოლში კაზინოების, რესტორნებისა და სასტუმროების დახვავებას, თქვე კაიდედმამიშვილებო, წამოჭიმონ და თუ თქვენ ოდესმე მისი დაბრუნების თავი გექნებათ, ისევ აქ არ დარჩება – „დერჟავა" ზურგზე მოიკიდებს თუ ცხრა მთას იქით გაიყოლებს?!

ვიმედოვნებთ, ჩვენი საამაყო პოლიტელიტა არც ისტორიაში მოიკოჭლებს და კარგად ემახსოვრება, რა მოხდა უახლოეს წარსულში თავისუფლების კუნძულზე. თუ არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ფიდელ კასტრომ დიქტატორ ბატისტას რეჟიმი დაამხო, ამერიკელთა საგრიალოდ ქცეული მათივე მილიონობით დოლარით წალკოტად ქცეული საბაირამო ინფრასტრუქტურა კუბელ ხალხს დარჩა.

და ბოლოს, ისიც ვიკითხოთ, შეესაბამება კი სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, მეზობელს უნიკალური კლიმატით გამორჩეული ქართული კურორტის აყვავება ამოუჭრია გულშიო. დავიჯეროთ, მომავალი თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქი გასართობი დაწესებულებების დეფიციტს განიცდის, იქაურ ხელისუფლებას კი შავი ზღვის ტალღებში გადასაყრელი საარაკო თანხები გააჩნია?!

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი



# ყველა არ იყიდება

**როცა ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის მეოთხედფინალური რაუნდის შეხვედრების მსაჯთა ვინაობა შევიტყვე, მაშინვე ფეხბურთის სამშობლოში 1966 წელს გამართულ მუნდიალზე განვითარებული მოვლენები გამახსენდა.**

სტაჟიანი გულშემატკივარი დამეთანხმება, რომ მაშინ ევროპული ფინალის გამოცხობას ხელი მნიშვნელოვანწილად სწორედ თემიდის იმ მსახურებმა შეუწყვეს, რომლებიც ინგლისსა და იმ დროს ჯერ კიდევ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას წარმოადგენდნენ და ამ მხრივ განსაკუთრებით კრაიტლაინმა „ივაჟკაცა", რომელმაც მასპინძლებთან შეხვედრაში არგენტინელთა კაპიტნის მარზოლინის უსაფუძვლო გაძევებით ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი სამხრეთამერიკული ფავორიტი წელში გადატეხა.

გამგები გაიგებს, რომ პარალელი თითქმის ნახევარი საუკუნის წინანდელ ისტორიასთან შემჩის განმავლობაში ობიექტურად უსტვინა და სამართალს პური აჭამა. შეიძლება ვინმემ პრეტენზია გამოთქვას, უკვე მე-15 წუთზე რატომ გააძევა მინდვრიდან „ტოტენჰემის" აჟლაყუდა სნაიპერი კრაუჩი, რითაც თამაში გააფუჭა და „რეალს" ხონჩით მიართვა ნახევარფინალის საგზური, მაგრამ მათ ვუპასუხებთ, რომ იმ ეპიზოდში არბიტრი სავსებით სწორად მოიქცა და თუ ვინმე იმსახურებს კრიტიკას, მხოლოდ-დამხოლოდ კუნძულელია, რომელსაც ერთი გაფრთხილება მანამდე უკვე ჰქონდა მიღებული და მატროსოვივით არ უნდა შევარდნოდა ფეხებში მარსელოს.

**„რეალი" – „ტოტენჰემი" 4:0. გოლები: ადებაიორი (2ძ, დი მარია, რონალდუ.**

დავძენთ, რომ „სამეფო კლუბს" ბენზემას გარდა ყველა გამოჯანმრთელებული ვარსკვლავი დაუბრუნდა. ასე რომ, „ბარსელონასთან" მოახლოებული „ელ კლასიკოების" სერია ქომაგებს მრავალ საინტერესოს ჰპირდება.




თხვევით არ გაგვივლია: ფინალი ამჯერადაც ლონდონის „უემბლის" სტადიონზეა დანიშნული და, სპორტის ტოტალური კომერციალიზაციის პირობებში რა ძნელი მისახვედრია, უეფას მესვეურებს გათამაშებას შემორჩენილი სამი ალბიონური კლუბიდან რომელიმეს გაძაჩვა სურდეთ.

საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა – თანამემამულისგან განსხვავებით, ახალგაზრდა შაოსანმა ფილიპ ბროიხმა მთელი მატრაც შეეხება „ინტერი" – „შალკეს" წყვილის პირველ ბრძოლას, მისი შედეგის შესახებ მხოლოდ მხრების აჩეჩვა თუ შეიძლება.

**„ინტერი" – „შალკე" 2:5. გოლები: სტანკოვიჩი, მილიტო; ედუ (2ძ, მატიპი, რაული, რანოკია (საკუთარ კარშიძ.**

**და კიდევ:** დასანანია, რომ 13 აპრილისთვის დანიშნულმა საპასუხო მატჩებმა ინტერესი დაკარგა.

**გიორგი შოთაძე**

ოლიმპიზმი

# ახალი წესები

**საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თანხმობა გასცა ახალი წესების შემოღების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ასპარეზობებში ქალი სპორტსმენების მონაწილეობას. კონკრეტულად, საუბარია იმაზე, რომ ახალი წესებით, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადამდე, განსაზღვრული იქნება, შეეძლებათ თუ არა ასპარეზობებში მონაწილეობა ქალ სპორტსმენებს, რომელთა ორგანიზმში მაღალია მამაკაცური ჰორმონების დონე.**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ამ წესის საფუძველზე ის შესძლებს თავიდან აიცილოს 2009 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი სკანდალის ანალოგიური გაუგებრობა, როდესაც 800 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა სამხრეთაფრიკელმა სპორტსმენმა კასტერ სემენიამ, რომლის გარეგნობას აშკარად აჩნდა მამაკაცური გამოხატულება.

ამის გამო სპორტსმენის დაჯილდოება გაჭიანურდა, რადგან მისი სქესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და მას შესაბამისი ჯილდო მხოლოდ მას შემდეგ გადასცეს, რაც გენდერული ტესტები ჩაუტარდა.

ინტერნეტიდან

## ჯერ გადახტი და...

**ხომ გახსოვთ, ნათქვამია: ჯერ გადახტი და ჰოპ – მერე დაიძახეო! სწორედ ეს გაგვახსენა ბრიტანელი მოკრივის, WBA ვერსიით მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის დევიდ ჰეის, თავის თავს „დიდებულ მოკრივეს" რომ უწოდებს, ბაქიაობამ ამ ზაფხულში დაგეგმილი, მისივე თქმით, „კარგ მოკრივესთან", უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსთან შეხვედრის წინ. თუმცა საბოლოოდ დადგენილი არაა, თუ როდის გაიმართება ეს ორთაბრძოლა გერმანიაში, 25 ივნისს, თუ 2 ივლისს. მაგრამ დევიდ ჰეიმ უკვე ბევრი რამ დაიკვეხა ამ შეხვედრის შედეგზე.**

მაგალითად, ამბობს, რომ ის კლიჩკოს რინგზე მუხლებით ახოხიალებს. „როგორც კი დავიწყებ ვლადიმირისთვის ყბებში რტყმევას, თავიდანვე თუ არა, შემდეგ მაინც მოაგონდება კორი სანდერსთან და ლეიმონ ბრიუსტერთან ბრძოლები, სადაც ის საშინელ ნოკაუტში ჩააგდეს, როდესაც მუხლებით რინგზე ხოხავდა. მე ვაპირებ ამ მდგომარეობაში მის დაბრუნებას. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ მე გამოვნახავ მისი დამარცხების ხერხს". – იმედოვნებს ბრიტანელი. ის იმასაც ამატებს, რომ სისწრაფეა მისი გამარჯვების გასაღები. ჰეი ასევე არაფრად მიიჩნევს ვლადიმირთან შედარებით თავის სიდაბლეს. მისი აზრით, მთავარია, რომ დიდებულმა პატარა მოკრივემ სცემოს კარგ დიდ მოკრივეს.

## საბონისი — დიდების დარბაზში

**კალათბურთის ხანდაზმულ მოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ ყოფილი სსრ კავშირისა და ლიტვის ნაკრებების ცენტრალური თავდამსხმელი არვიდას საბონისი.** 221 სანტიმეტრიანი ლიტველი 1982 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 1985 წელს – ევროპის ჩემპიონი, 1988 წელს კი – ოლიმპიური ჩემპიონი. მშობლიური ლიტვის ნაკრებთან ერთად „ბრინჯაო" მოიპოვა 1992 წელს ბარსელონას თამაშებზე, ხოლო 1996 წელს – ატლანტაში. მთელი შვიდი წელი ის თამაშობდა ოკეანის გადაღმა „პორტლენდში".




საბონისთან ერთად ჯეიმს ნეისმიტის სახელობის დიდების დარბაზში შეიყვანეს. ნბა-ს 5-გზის ჩემპიონს „ჩიკაგოსა" და „დეტროიტის" შემადგენლობაში, ცნობილ ექსტრავაგანტურ კალათბურთელს დენის როდმანს და ბევრ სხვა პოპულარულ მოთამაშეს.

დიდების დარბაზში ახალბედების (მაგრამ ვარსკვლავებისძ შეყვანის ოფიციალური ცერემონია გაიმართება აგვისტოში.




ჰობი

# სპორტს მოდელობა როდი სჯობს

**ასე მიაჩნია იტალიელ ლამაზმანს რობერტა მანჩინის, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც მსოფლიოში ყველაზე გაბედულმა პარაშუტისტმა ქალმა.**

მის აქტივში 6 ათასზე მეტი გადმოხტომაა. ის უამრავი ჯილდოს და მსოფლიო რეკორდის მფლობელია. რობერტა ოთხჯერ გადმოხტა პარაშუტით სრულიად შიშველი, რითაც ბევრი მამაკაცის გული მოინადირა. ამის შემდეგ იყო, რომ 2010 წლის შედეგებით რამდენიმე გამოცემამ ის აღიარა მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალად.

2009 წელს მან განახორციელა რამდენიმე საშიში ნახტომი უძრავი ობიექტებიდან – ხიდებიდან, ცათამბჯენებიდან, კლდეებიდან, „ციოდა, მაგრამ სასიამოვნო იყო სხეულზე ქარის შეგრძნება", – აღიარა მან.

მას ძალზე უყვარს ცეკვა. 14 წლის გოგონამ ძალები სცადა კიკბოქსინგსა და რამდენიმე სახის სხვა ორთაბრძოლაში. ბოლოს შავი ქამარიც კი მოიპოვა!

მოგვიანებით ის სამოდელო სააგენტოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ახლა რობერტა რეკლამას უწევს ჯინსებს, მონაწილეობს სხვადასხვა ფოტოსესიაში. მაგრამ მაინც თქვა: „არ მინდა მოდელობა, ჩემთვის ეს მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებაა".



◉ დრო და მხატვარი

# „აივნიანი ქალაქის“ სული

**„თქვენ კარლო ვინ გგონიათ?.. იგი დიდი მხატვარია, დიდი მხატვარი!..“ – უთქვამს თენგიზ მირზაშვილს კარლო ფაჩულიას ერთ-ერთ გამოფენაზე. ასეთ სიტყვებს შემთხვევით არ ამბობენ. ეს არის სულიდან წამოსული ხმა, რომელიც ისევ სულს უბრუნდება და ჩუმ საფიქრალს გვიტოვებს შემოქმედზე...**

ეს განცდა მიპყრობს კარლო ფაჩულიას ნახატების ხილვისას, სადაც დიდი სინათლე და ნაღველი ერთად ჩამყუდროებულა – აივნიანი ქალაქის ცრემლი – გათენებაა ჩემი მასპინძელი ამ კრებულში.

კრებული ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ეგიდით გამოიცა და ბოლო ნომერს მოჰყვა, როგორც სახსოვარი. აქ გრაფიკოსისა და ფერმწერის, ილია ჭავჭავაძის და დავით კაკაბაძის პრემიების ლაურეატის, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მხატვრული რედაქტორის კარლო ფაჩულიას შემოქმედებაა წარმოდგენილი. მხატვარ-გრაფიკოსმა დაასურათა ფრენსის, სკოტ ფიცჯერალდის, ერნესტ ჰემინგუეის, უილიამ ფოლკნერის, ჯერომ სელინჯერის, ჰენრი მილერის, გაბრიელ გარსია მარკესის, ჯონ ჩივერის... ნაწარმოებები. აქ არის სპარსული ზღაპრების ილუსტრაციები, უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, ედგარ ალან პოსა და ედუარდ ჰეილის ნაწარმოებთა ილუსტრაციები... მხატვარმა 300-ზე მეტი წიგნი გააფორმა, მისი ილუსტრაციები და დაზგური გრაფიკის სერიები მსოფლიოსა და ქართული მწერლობის ქმნილებებს ამშვენებს.

„კარლო ფაჩულიას ილუსტრაციებში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულის სახეა, ოსტატის ხელით გაცოცხლებული, განსაკუთრებით მომხიბლავია ნიკო ლორთქიფანიძის როგორც პორტრეტი, ასევე მისი „თავსაფრიანი დედაკაცი“, – წერდა დავით მჭედლური. ნიკო ლორთქიფანიძის სამყაროსთან სიახლოვის გამო უხუმრიათ კიდეც – კარლო ფაჩულია წინა ცხოვრებაში, ალბათ, ნიკო ლორთქიფანიძე იყოო. რამდენიმე ნიუანსითა და სინატიფით იქმნება ხასიათი, განწყობილება, ემოცია...



„ამ მშვენიერ სიჩუმეში და ცოცხალ სიწმინდეში, როგორც სალოცავი ხატის წინ, – აღმოვჩნდი... სავსე ვარ, – რით? აბა, რა ვიცი, ეგ რომ ვიცოდე, ასეც არ ვიქნებოდი. როგორც ჩვილის შეხებისას, თუ ცქერისას ჩნდება ღიმილი და ცრემლი ერთად“... – წერს რეზო ესაძე.

„კარლო ფაჩულია იმ მხატვრებს მიეკუთვნება, წიგნს ჭეშმარიტი კრიტიკოსებივით რომ კითხულობენ და კარგად იციან თითოეული ნიუანსის ფასი... რატომ ვერიდებით ამ რანგის შემოქმედთ, სიცოცხლეშივე ვუწოდოთ დიდი?“ (როსტომ ჩხეიძე.

ვაჟა ხორნაული კი კარლო ფაჩულიას ასეთი ლექსით ამხნევებს:

**„როცა მთელი
დედამიწა
ჯვარცმული და
ტანჯულია,
სწორედ მაშინ
უნდა იდგე
მაგრად, ძმაო
ფაჩულია!!“**

ამ პატარა კრებულში მრავლადაა ასეთი თბილი სტრიქონები, რასაც მხატვარი და მისი შემოქმედება უდავოდ იმსახურებს.

მე კი დიდებული მხატვრის სამყაროზე ფიქრისას, მგონია, რომ კარლო ფაჩულიას „აივნიანი ქალაქის“ ბინადარი ვარ და მზის სხივს ვდარაჯობ გამთენიის ჟამს...

**თამარ შაიშმელაშვილი**

**სურათზე: კარლო ფაჩულია შვილიშვილებთან – ბარბარე და ქეთევანთან ერთად.**

◉ ვცდი კალამს...

# სერიალომანია

**XX საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული სატელევიზიო სივრცე დაიპყრო იაფფასიანმა სერიალებმა. ისინი „მონათლული“ არიან, გასართობ „საპნის ოპერებად“ და არავინ ლაპარაკობს იმაზე თუ როგორ ანგრევენ ჩვენს ზნეობას. სერიალებს შეიძლება XX საუკუნის ვირუსიც კი ვუწოდოთ. სააშკარაოზე გამოტანილი სულიერი სიშიშვლე, აღვირახსნილობა, თვითნებობა, ვითომცდა უკომპლექსო „თავისუფლება“.**

სერიალი არის იარაღი, რომელიც საზოგადოების ცნობიერების გაუკუღმართებისკენაა მიმართული. „საპნის ოპერებს“ აქვს მისტიკური ძალა – მიიზიდოს ყველა დონის მაყურებელი. ტელევიზიის ჩართვა შენი ნებაა, გამორთვა კი არა. იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის სულიერ ეკოლოგიას. სერიალის პროპაგანდისტული მეთოდები საკუთარი გავლენის ქვეშ იქცევს ახალ თაობას. პრივილეგია გახდა უკომპლექსობა, უზრდელობა, თავისუფლება ნებისმიერ არჩევანში... სინდისი და მორალი უზნეობამ განდევნა. სერიალი XXI საუკუნის ჭირთა ჭირიც გახდა. სულმოკლე ადამიანს ის ლოთის ბოთლივით




ცლის და მარტოოდენ ამორალობას ემსახურება.

სერიალში უზარმაზარი კაპიტალია ჩადებული, ათასობით საქმოსნისთვის ის შემოსავლის წყაროა, ტელევიზიაც ბაზრის დაკვეთას ასრულებს და ხარისხის ხარჯზე ზოგავს ფინანსებს.

იაფფასიან სერიალებს სამომავლო პერსპექტივა, წესით და რიგით, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ... ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ახალგაზრდობა დაუბრუნდება წიგნს და სერიოზულ ლიტერატურას?

არა მგონია!

მთავარი საწუხარიც სწორედ ეს არის.

# „ბეპეის ბირჟა“

**უნივერსიტეტში მივიჩქარი, ლექცია დილის 9 საათზე მეწყება. ავტომანქანის მფლობელებს ეზოში თადარიგი ადრიდანვე დაუჭერიათ, გადაჭედილია იქაურობა.**

**შუადღისას მანქანებს შორის გზას ძლივს ვიკვლევ. ბიჭები შეჯგუფებულან. ერთი ჭაბუკი საწერკალამს ათამაშებს, გეგონება ხელი ექავებაო, კევს ღეჭავს, თავს იქცევს, როგორც ჩანს, უკეთესი ვერაფერი მოიგონა.**

სამშაბათია. კიბეზე ჩამომსხდარი გოგო-ბიჭები მარტის მზეს ეფიცხებიან, თან მზესუმზირას აკ-ნატუნებენ. ხმამაღალი მუსიკის ჰანგებს აყოლილები როკვას ნაძვნარის ჩრდილში განაგრძობენ. ზოგიც წალმა-უკუღმა დაყიალობს, შარვლის უკანა ჯიბეში ჩაკუჭული რვეულითა და თითებშუა სიგარეტით.

ქარი ამოვარდა. ჰალსტუხი საბელივით ეხვევათ ყელზე ხელჩანთიან მამაკაცებს, ალბათ პროფესორებს... აქ ხომ ყველა დოქტორი და პროფესორია...



„ბეპეის ბირჟაზე“ ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. მანქანების სადგომი, მზესუმზირის ჩენჩოთი სავსე ტროტუარი, ეგრეთ წოდებული მოკაიფე ახალგაზრდობა და... ერთი-ორი ქსეროქსზე გაქცეული ბეჯითი სტუდენტი – უნივერსიტეტის მადლის მაძიებელი...

კიდევ კარგი, რომ თითო-ოროლა სტუდენტი მაინც ეძიებს ცოდნას!..

**გულნაზი გახარია,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი**

# განცხადება აუქციონის შესახებ

**2011 წლის 19 აპრილს 10 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „ხილის კომპანია ნარინჯის“ (მისამართი: ბათუმი, გრიბოედოვის ქ. № 2ა, ს/ნ 245540384) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.**

გასაყიდად გამოტანილი იქნება უძრავი ნივთი მდებარე მის:ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ურეხი, საკადასტრო კოდი № 22.24.05.096, დაზუსტებული ფართობი 86066.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 24162.40.

უძრავი ნივთის საწყისი ფასია 1 100 000 (ერთი მილიონ ასიათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი – სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე № 250114005 (სს „თიბისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი:**
**თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7.**

## განცხადება

# სს „ჩაჩავას კლინიკის“ მორიგი კრების მოწვევის შესახებ

**სს „ჩაჩავას კლინიკა“ იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2011 წლის 3 ივნისს, პარასკევს, 16 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №38.**

**დღის წესრიგი:**
**1ძ 2010 წლის წლიური ანგარიში;**
**2ძ მოგების განაწილების საკითხი;**
**3ძ სხვადასხვა.**

კრებაზე მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი 2011 წლის 4 აპრილის 18 საათის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მიმდინარე წლის 24 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 11 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, VI სართული, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრის“ ოფისი.

კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე აქციონერები უფლებამოსილნი არიან ამ განცხადების გაცნობიდან ორი კვირის ვადაში ოფიციალურად მიმართონ გენერალურ დირექტორს დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (საზოგადოების წესდების 9.5 პუნქტი.ძ

**სს „ჩაჩავას კლინიკის“ დირექტორი**
**ე. გოცირიძე**
**თბილისი, 2011 წლის 5 აპრილი.**

**მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ქალბატონ ნელი თელიას, გელა და დათო თოფურიებს მეუღლისა და მამის**
**ვახტანგ თოფურიას**
**გარდაცვალების გამო.**

---

**იზაბელა და ჯიმი ჩარკვიანები, ლალი გომიაშვილი, ლამარა თოდრაძე, თენგიზ და მზია კამკამიძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან**
**მაყვალა გომიაშვილის**
**გარდაცვალებას.**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „თამარიონი“ ატარებს აქციონერთა საერთო კრებას 2011 წლის 27 აპრილს 18 საათზე. მისამართი: გორგასლის 73.**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ანგარიში 2010 წლის სამეურნეო წლისათვის;

აძ ანგარიშის დამტკიცება;

2. აუდიტის არჩევა 2011 წლისათვის.

**აქციონერთა საალრიცხვო დღედ დადგენილია 20 აპრილი.**

**სამეთვალყურეო საბჭო**

## ⦿ დღესასწაული

# ხარება

## ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარიამისა



**7 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ხარებას ზეიმობს; უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, მას ქალწული შობდა და უწოდებდა სახელად ემანუელს („ჩვენთან არს ღმერთი“ძ.**

**...ჭეშმარიტად, ღვთის განკაცებით ჩვენთან არს ღმერთი!**

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე. ანგელოზმა ახარა მას: „...გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ უფალი შენთანაა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა...“ „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა და აჰა, ესერა შენ მუცლად იღო და ჰშვე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“.

ღმერთმა თავისი გამოუთქმელი კაცთმოყვარეობით ცოდვის ტყვეობაში მყოფი ადამის მოდგმის გამოხსნა ინება.

ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია უმამაკაცოდ ქალწულისგან ძის შობა. მარიამ ღვთისმშობლის კითხვაზე: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი პასუხობს: „სული წმინდა მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ“, — და ნიშანს აძლევს, მისი ნათესავი, მოხუცი ელისაბედი, უკვე მეექვსე თვეა, რაც ორსულადაა.

მარიამ ღვთისმშობელმა, როცა ყოველივე გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს... და მეყსეულად შევიდა სულიწმინდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს: „...ქალწულმა მარიამმა დაიმსახურა ესოდენი მადლი, რადგანაც ის იყო მშვიდი, სათნო და ქრისტიანთა მსასოებელი...**

**გილოცავთ ხარებას!**

**გიული ლიპარტია**

## მილოცვა



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ გულითადად ულოცავს თავისი სახელობის ვარსკვლავის გახსნას ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული პროექტების კულტურული პროგრამის წამყვანს, ჩვენს სასიქადულო მამულიშვილსა და მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს ბატონ ჯემალ ღაღანიძეს.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ოჯახის, სამშობლოსა და ქართული თეატრის საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით
**ბონდო კობაძე**
ფონდის პრეზიდენტი,
წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი

## ⦿ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ალექსანდრე დიუმა-მამა ძალზე ხელგაშლილი ადამიანი იყო და არ იქნება გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ მას მუდამ ვალი ჰქონდა. დიუმა ხშირად ამბობდა: „ფულზე უარს არავის ვეუბნები, ჩემი კრედიტორების გარდა“.

● დემოსთენე უკანასკნელ თავშესაფარს ეძახდა სიკვდილს.

● ალასკაზე მომხდარი მიწისძვრა ყველაზე ხანგრძლივი იყო კაცობრიობის ისტორიაში, იგი 7 წუთზე მეტხანს გაგრძელდა.

● ნობელის პრემიის ლაურეატს 5 ენაზე აცხადებენ: შვედურად, ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად და რუსულად, რადგან თავად ალფრედ ნობელმა ეს ენები კარგად იცოდა.

● მოპასანი ეიფელის კოშკს მსოფლიოს უმახინჯეს ნაგებობად მიიჩნევდა, კოშკის პირველ სართულზე არსებულ რესტორანში ხშირად სადილობდა და ამბობდა, ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც ეიფელის კოშკი არ ჩანსო.

● როდესაც ალექსანდრე მაკედონელი დამარცხებული სპარსეთის მეფე დარიოსის ტახტზე დაჯდა, იატაკს ფეხები ვერ მიაწვდინა.

● ნაპოლეონი ალუროფობიით იყო დაავადებული და მძლეთამძლე იმპერატორს პანიკურად ეშინოდა კატების.

● ომარ ხაიამი 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისპაჰანის ობსერვატორიას.

● ისააკ ნიუტონი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ დიდი პედაგოგი გახლდათ. ერთხელ, როცა სასწავლებელში არც ერთი სტუდენტი არ გამოცხადდა, ნიუტონმა ლექცია ცარიელ აუდიტორიაში ჩაატარა.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## იყიდება, ქირავდება!

ბინა ათენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ

ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

## ყურადღება!

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სასწავლო-საგამომცემლო კომპიუტერული ცენტრი აცხადებს **ოპერატორ-დამკაბადონებლის** თანამდებობის დასაკავებლად **კონკურსს.**

მსურველთაგან განაცხადის, აგრეთვე ვინაობისა და განათლების საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 26 აპრილის 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის 47ა, VI სართული, უნივერსიტეტის სამდივნო.

საკონტაქტო ტელეფონები: 31-18-50; 31-14-75.

რექტორატი

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6894 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3930 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7421 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9315 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ⦿ კადრი



## ⦿ ანეკდოტები

— და გახსოვდეთ, ბავშვებო! ისინი, ვინც ოთხიანებზე და ხუთიანებზე ისწავლის, სამოთხეში მოხვდებიან, ხოლო ვინც ორიანებსა და სამიანებზე — ჯოჯოხეთში!

— შენ რა გაინტერესებს, მიხო?

— მასწ, არ შეიძლება, რომ სკოლა ცოცხლებმა დავამთავროთ?

* * *

ორი სვანი ქუჩაში მიდის. ერთ მათგანს უცებ ჩიტმა დაასკინტლა.



— შემთხვევით ჯიბეში ქაღალდი არა გაქვს? — ეკითხება იგი ძმაკაცს.

— აწი რად გინდა, ჩიტი გაფრინდა და როგორ გამოუწმენდ?

* * *

— ძვირფასო, შემთხვევით შენი საყვარელი ვაზა გამიტყდა! — ეუბნება ქმარი ცოლს.

— ფლოქვებით მოხერხებულად ვერ დაიჭირე ხომ, ვირო!

* * *

— აბა, შემეკითხეთ, რაც გსურთ, — ეუბნება პროფესორი სტუდენტებს. — ნუ გრცხვენიათ. გახსოვდეთ, რომ სულელური კითხვები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სულელური პასუხები.

— ბატონო პროფესორო, თუ ტრამვაის რელსებზე ორივე ფეხით დავდგები, ხელით კი დენის მავთულს ჩავეჭიდები, ტრამვაის მსგავსად წავალ?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24